

კაჟა ეტზისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანკარსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად

2020



საქართველოს მწიერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხ ური ფსალმუნები

ტომი 66

2020



მთ. რედაქტორი

ვიქტორ აბოილაშვილი

პოეტი, მხატვარი, მარიკა
ბარათაშვილის სახელობის
პრემიის ლაურეატი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-873-1 (ბნ ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალგუნავი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძმნილება იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეული.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალატიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლისა და „დიოკურია 2005“-ის, მწვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მწვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმარ-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანდამცემი მმართველობა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, სპარტოველეს განათლებისა და სპარტოველეს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა“ „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სობის, იყალთოს საპატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასზე მეტგვერდიანი ტომეულების „კოლხური უსალგუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსალგუნების“ ოცდაათტომეულის გამოცემა. გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა პრეზიდენტის ხუთასზე მეტგვერდიანი, უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომეტი. 2019 წლის მიწურულს გამოვიდა „კოლხური უსალგუნები“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამგადაბრუნდა დასაბუთებელი ვაჟა ებრისელის კლასიკური პოეზიის ანტიკონკრეტული, აბრეშუვი, პრეზიდენტის მიძღვნილი ქართველი და უცხოელი პოეტების, მმართველებისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ფაზისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პოეტი, ქართული პოეზიის რაინდი, ქართული კულტურის დეკანი, „კოლხური უსალგუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატიო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „სპარტოველეს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მძვინვარე შვილია (შვილი ძმა და ორი და).





პოეტის ასტრომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, დემეტრი არ მიუყვანს რომ ვეზა-ღარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტვრედიანი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული დაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, დავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეულზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცრებებით დახუნდალული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუპეითბია.

100-ტომეული... ძველის ბაჩენის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუქმნია დღემდე...
კოსმოსში კი...
დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგა-ლუჟაი მიწვლია... მათ იცინან იმ იწყება დღემდევის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ლაურეატი,
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი



„ბულცივად შეხვდი ყოველ ძეგას, ყოველ კაბეგას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

პოეტი შინაგანი ინტონაციით გრძნობს თავისი მოწოდების სიმაღლეს, თავისი სიბრძნის ძალას, პოეტურ მასშტაბებს, მისი სტრიქონებიდან აშკარად გამოსჭვივის და ძალუმად იგრძნობა ავტორისეული სულის თრთოლვა; იგი ბუნების სურათებსაც თავისებურად იყენებს; აბა დააკვირდით:

„როცა მთვარე შექნათელი
ამოვიდა ღრუბლის შავი დილეგიდან,
მაშინ ღამემ
პირმშვენიერ
დილის კართან,
კვლავ ჩაიწყო მნათობების ქილები და
აიკეცა შავი ჩოხის შავი კალთა“.



აქ მაღალი მხატვრული სურათია. ღამის პოეტური სახე განსაკუთრებული ელფერით ანათებს მთელ ლექსს. განცდისა და აზრის უცნაურობა სპეციფიკურია, მკითხველის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდება შაფროსოსანი ღამე მნათობების ქილეებით. ამ ლექსში პოეტის განცდა, საგანი, განწყობილება, აზრი, მოვლენა ისე მკაფიოდ ჩანს, თითქოს დღის სინათლე იზრდებოდეს პოეტის სულიდან გადმოღვრილი სინათლის ძალით, ვის შეუძლია პოეტის გარდა, ასე დაინახოს ვარსკვლავების ვარდისფერი აკვნები, ან გაზაფხული ღურჯ ია-იებს მივიწყებულ საფლავზე როგორ აკმევს. ყური დავუგდოთ თვითონ პოეტს:

„ვის მოუხმობენ ზარები მწუხრის
ან გაზაფხული ღურჯ ია-იებს,
ვის მივიწყებულ საფლავზე აკმევს,
რომ ხსოვნის ოქროს ნაკვერჩხლები
აღარ მინავლდნენ.
და ან ვინ ურწევს ცად ვარსკვლავებს
ვარდისფერ აკვნებს
ღამე,
დილა მდე“.

დიდი და უსაზღვროა პოეტის სიყვარული კოსმიური სამყაროსადმი. მისი ზოგიერთი ლექსის კითხვისას ვიხიბლებით ფანტაზიის უჩვეულო აღმაფრენით, შემოქმედებით ენერჯიის ინტენსიურობით, სახე-



თა პლასტიკურობით, საოცარია პოეტის ხილვები, მატერიის განვითარების უსასრულო პროცესს მიყურადებულები პოეტი უჩვეულო სურათს გვაწვდის:

„თბილ მკერდზე მიიკრა და
მიუაღერსა,
გაშალა ზღვისკარად სიბნელის
ნაბადი
ღამემ და... ქალწული დღე შეაცდინა.
და...
გამთენიისას
ოქროსთმიანი
დილამ მზე —
ჭაბუკი დაბადა“.

თვალუწვლდენელი სიღრმეა ამ პეიზაჟში. პოეტის გულიც აურაცხელი ზმანების, ხილვის, ასოციაციის განცდის, სიკეთისა და ერთგულების საუფლოა.

ვაჟა ეგრისელის პოეზიისათვის დამახასიათებელია უღრმესი ფილოსოფიურობა და რელიგიურობა. მკითხველი რომელიც ვაჟა ეგრისელის ლექსების კრებულს ხელში იღებს, შინაგანად მზადაა ფილოსოფიურ ქვეტექსტებთან და რელიგიურ განცდებთან; ღვთისმოსაობასთან და რწმენასთან შესახვედრად. და მაინც პირველყოვლისა ფილოსოფიურად ყველაზე დამუხტული ლირიკის შექმნაც ქართველ პოეტ-



თან ვაჟა ფშაველასთან მიმართებაში იკვეთება პარალელები.

ვაჟა ფშაველა ამბობს:

„ცა კაშკაშებდა, ბნელოდა,
მთვარეს მზის მკერდზე ეძინა,
მხოლოდ მოწმენდილს ცაზედა
ვარსკვლავთა გუნდი ეფინა“.

ვაჟა-ფშაველასთან მთელი სამყარო ერთმანეთს ღმერთისმიერი სიყვარულით უკავშირდება „დიდება ქვეყნის შემოქმედს, რა კარგად დაუწერია! („სოფლისა წესი ასეა“).

და ერთი გასაოცარი პარალელი ვაჟა ფშაველასა და ვაჟა ეგრისელს შორის:

„ცის ლურჯ ბუდეში ჟივჯივებენ
ჩვენი ღღებები
მზიან იმედებს
და ვარსკვლავებს
ისევ კენკავენ
ზღვა და სიცოცხლე, ვით აროდეს
ისე მოშივდათ,
რადგან ერქმევათ მალე წარსული,
რადგან ჩამავალ მზის თეთრი კოშკიდან,
ვითარცა ღამე მოსჩანს ჩვენი გზის დასასრული“.



და ადამიანი ჭეშმარიტად ზნეობრივია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწიწებით აღიქვამს და უფროსილდება ამქვეყნად ყველაზე უძვირფასეს განძს სიცოცხლეს. ყოველი სიცოცხლე ხომ ღამაზია და მოსაფრთხილებელი.

საკუთარი ხელწერა, ინტონაცია, სათქმელის სიღრმე, აზრის ლოგიკურობა და სტრიქონებს შორის ნაღმივით ნაგულისხმევი ქვეტექსტთა მრავლობა ხშირად ფილოსოფიური აზრებით იტვირთება და გაიძულეებს მესამე თვალით შეხედო ამა თუ იმ მოვლენას, ერთხელ კიდევ გადაამოწმო საკუთარი შეხედულებები სიტყვათა მომთვინიერებელი, ლომების მომთვინიერებელივით, ფხიზლობის, სიბლი არ დაკარგოს და მკითხველის გული გაახაროს.

მარტვილის გზით მავალი ლოცვად ხელებაკურობილი და სულით ნათელი ხსნას მომავალში ეძებს და ხელეებს აფათურებს ბურუსის გასაფანტავად.

„იქმენ ნათელისა“ და „კოლხური ფსალმუნების“ ავტორისათვის შემოქმედებით აქტი ბრწყინვალე ასპარეზია საკუთარი იდეალების განხორციელების ბოლომდე შეცნობისა, ხოლო უფალთან მიახლოების განცდა მისთვის გზაა სულიერი კათარზისისა და ადამიანად დარჩენისა.



და მაინც, ვაჟა ეგრისელი ყოველთვის რეალობიდან ამოდის, მასთან კავშირს არასოდეს წყვეტს და თავდავიწყებას თითქმის არასოდეს ეძლევა. მისთვის, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედისათვის უცხოა სწორხაზოვნება და დოგმატიურობა, მისი მაძიებელი სული, შემეცნების ხილვით ფრთებშესხმული, სხვადასხვა სიმაღლიდან მიემართება სამყაროს ხილვად.

ვაჟა ეგრისელის მიერ შექმნილ სამყაროში მზეა ერთგვარი ზნეობრივი პილიგრიმი, რომლის გზა ზეციურ სამყაროსკენ მიემართება და ალბათ, შემთხვევითი არაა ისიც, რომ ღამეს, წყვილიად მზე ენაცვლება და მზის ხატება და წინაპართა მოელვარე შუქი ერთმანეთზეა გადაწული.

„მზე,

რომ მზე არის,

ო, ისიც

გვემალება და... წყვილიადში

არ ვიყოთ დაუსრულებელივ

ვარსკვლავებს გვისინათლებენ,

ციდან —

წინაპრის სულები“.

ზეციური სამყარო კი პოეტის რწმენით გასხივოსნებულია ღვთისმშობლის მადლიანი, სხივოსანი ნათელით. პოეტმა კარგად უწყის, რომ მარიამ ღვთისმშობელი ზეციურ იერარქიაში თვით უმაღლე-



სი დასის ანგელოზებზე მაღლა დგას: „უპატიოსნეს-სა ქერუბიმთასა და აღმატებით უზენაესსა სერაბიმ-თასა“ — ასეთივე შინაარსს ატარებს ვაჟა ეგრისე-ლის მრავალი ლექსი მიძღვნილი წმინდა მარიამი-სადმი.

არაერთხელ აღვნიშნე და ახლაც გავიმეორებ, რომ ვაჟა ეგრისელის მსოფლგანცდაში საქართვე-ლოს სიყვარული რელიგიური რწმენის სიმაღლეზეა მოაზრებული. მისთვის სამშობლოს სიყვარული უწ-მინდესი გრძნობა და მოვალეობაა, ის გაცილებით დიდია, ვიდრე თაყვანისცემის ბრმა გრძნობა, ანდა თუნდაც ისეთი ფილოსოფიურ-ზნეობრივი კატეგო-რია, როგორც არის ჭეშმარიტება, ადამიანის სრულყოფის საზომად რომ გამხდარა:

„სამშობლოსათვის ყოველთვის,
ხმაღს მოჰგავდი ალესილს,
რადგან ქართველის ტაძარში
გსურდა დიდხანს გელოცა.
და ცრემლიან თვალებში
გედგა საქართველოს ცა“.

ვაჟა ეგრისელის მიერ შექმნილი მხატვრული ტილოები, მიუხედავად მათი მკაფიო ლოკალური კო-ლორიტისა ხშირად გვაოცებენ თავისი შინაგანი სი-ახლოვით მსოფლიოს სახელგანთქმულ ფერმწერთა ქმნილებებთან. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ მხატ-



ვრებზე, რომლებიც უწინარეს ყოვლისა მშობლიურ მიწაში ჰპოვებდნენ შთაგონების წყაროს. მის პოეტურ სახეებში მონუმენტური, განსაკუთრებული შეთავსებუბულია ყოფასთან, ყოველდღიურობასთან და მთელი მისი შემოქმედება იდეალურისა და რეალურის ჰარმონიული შერწყმაა, მათი სინთეზური წარმოსახვა:

„აღმოსავლით,
დასავლით,
დიდი მთები რომ დგანან,
განა მართლა მთებია,
ჩვენი წინაპრებია
მთებად წამომართული.
და ეს მდინარეები
მათი ღურჯი ძარღვია
საიდანაც იქცევა —
ჩვენი სისხლი ქართული.“

ეს ლექსი თავის თავში ითავსებს „უთვალავი ფერით „ამეცყველებული“ ქვეყნის“ წინააღმდეგობრივ მრავალსახეობას.

„სიცოცხლის, ბუნების, ადამიანთა ურთიერთობით, სიყვარულის გაფრთხილება და თანაგრძნობა ვაჟა ვერისელის სულიერი სუბსტანციის უშუალო გამჟღავნება გახლავთ. მის შემოქმედებაში არ არის არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ლექსი,



გრძნობათა აღქმაში განსახიერებელი არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც ქვეცნობიერად არ ასახავდეს სიცოცხლისადმი ბედნიერებისადმი ღტოლვის ტენდენციას“.

„...დიდი ხნის შემდეგ, როცა პოეტის წილი ცა საავდროდ მოიქუფრება და „ღირიუორივით შავ ფრაკს ჩაიცმევს“, მაშინ დასავლის ქარი მათ უთუოდ მარადისობისკენ გადარეკავს და ომიდან შვილის მომლოდინე ბერდელასავით გათეთრებულ პოეტს ჭიშკართან მდგარი სიყვარულის ხედ ავთქებული აკაცია კი ყოველ ცისმარე, დარსა თუ ავდარში ყველას უამბობს იმ დიდი პოეტის შესახებ, რომელსაც ვაჟა ეგრისელი ჰქვია“.

(მურად ჭოლოკაია).

ჩვენ ძალიან ბევრი წაგვიკითხავს სიყვარულის თემაზე, სატრფოსთან განმარტოების უკიდუგანო სიხარულზე, თუნდაც ვერცხლის თასად, ვერცხლის სათითედ, უკვდავების წყაროდ, თუ ლურჯთვალა იად ქცევის სურვილის გამომხატველი ხალხური პოეზიის მარგალიტებიც საკმარისია მოსაგონებლად.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედების მკვლევარისთვის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი და რთული ფაქტი იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი უშუალოდ მგრძნობიარე და ფაქიზია სიყვარულის თემის გამომსახველობითი საშუალებების მიმართ.

და მაინც დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა — ის პოეტი მხატვარია, რომლის იდეაც გახსნილია ემო-



ციებში ღირიკული ღექსის სტრიქონებში, ცხოვრების ცალკეული ფრაგმენტების სიცხადე რომ დაჰყოლიათ, ერთმანეთს რომ აშუქებენ, აცისკროვნებენ პატიოსანი თვალის წახნაგების მსგავსად.

ბუნებამ ვაჟა ეგრისელი მხატვრული შემოქმედების იმპულსური სურვილით დაასახუქრა, ეპოქამ, გარემოებებმა თავისებურად სრულყვეს მისი ნიჭის თავისებურება.

დედ-მამის ტრაგიკული სახეები არაერთგზის შეახსენებს თავს პოეტს, დარდის სამოსელში გაახვევს, სვედის სურნელი დაჰბერავს პოეტის მსოფლგანცდას, მის შეხედულებას ცხოვრებაზე, მშობლიურ სოფლის, კერის ბუნების რემინესცენციებს აი, თუნდაც:

სხვენზე დევს მამის თოხი და
წაღლი,
მოხუცი დედა საკერავს კერავს,
მუხის ღადარზე შიშხინებს მწვადი,
მამა არ უზის მშობლიურ კერას.
ფიქრობს დედა...
და ფიქრებს ჰგავს კვამლი,
ეზოში ფოთლებს ქარები ჰგვიან,
არ უყივლიათ მეორედ მამლებს,
მამა კი უფრო მოსულა გვიან.
გზას ფეხაკრეფით მიჰყვება ღამე.



წელს მდევარივით მიჰყვება წელი
და ზოგჯერ დედას სიკვდილი მამის
ავიწყდება და დილაბდე ელის.

ან კიდევ:

„როდესაც წარსულში გულგრილად
ჩავეივლი,
დღისით თუ მთვარიან ღამეში

აქ, —

დავიწყებული წინაპრის ყორღანი,
ვითარც ბიბლიური ნოეს
კამეჩი,
დრო-ჟამის წარღვნიდან მომდევს და
მომბღავის.

სევდა-ნადველს, ბნელსა და წყვდიადს ვაჟა ეგ-
რისელის პოეზიაში მუდამ ენაცვლება სიცოცხლის
სიხარული, მისი პეიზაჟების დაღვრემილი კოლორი-
ტის მიღმა მარადიული სხივი ანთია, გამოკრთის
ერთგულება, სისპეტაკე, სიწმინდე და უნაპირო სიყ-
ვარული.

ზემოთ მოტანილ ლექსში პოეტის ხსოვნის
ჩრდილებში დედ-მამის შარავანდვით მოსილი სახე-
ები, ჩემთვის, როგორც ლიტერატორისათვის ის წერ-
ტილია, რომელისკენაც მიემართება ვაჟა ეგრისელის



ცხოვრებისეული გზა ინტელექტითა და მაღალი იდეებით გაჯარებული.

რა მართებულად ბრძანებს ცნობილი მეცნიერი სულხან ჟორდანიას „პოეზიის მზე იმპულსური გულისწადილი და ის განსაკუთრებული გამტარია, რომელშიც ლირიკოსის საკუთარი არსი მიედინება. პოეზიის ზეიმი ის ბუნებრივი ბედნიერი რიტმი, რომლითაც გული ფეთქავს დოღის შემდეგ წმინდა სისხლის გამარჯვებულ ულაყში, ვერც ელვის უზრუნველი შრიალი, ვერც იების სუნი ბუნქების ჩრდილში ადრე გაზაფხულზე, ვერც ქორის ლივლივი ზამთრის თეთრსა და კეთილ ცაში, ვერც ჩამავალი მზის სეფა და ვერ მოგანიჭებს ისეთ სიამოვნებას, როგორსაც გულმართალი და გაბედული პოეზია“.

ვაჟა ეგრისელი კარგად იცის, რომ სიყვარული კოსმიური ენერჯის სახეა, ის მოულოდნელად და გაუცნობიერებლად იჭრება ადამიანთა ცხოვრებაში, ის ადამიანი კი, რომელსაც არ ჰყავს გულის ტოლი და მარტოდმარტოა ამ ბრძოლაში, ტრაგიკულად განიცდის თავის მდგომარეობას სიყვარული როგორც არაერთხელ მივანიშნეთ პოეტის შემოქმედების ერთერთი მნიშვნელოვანი მომენტია და ის მისთვის სიცოცხლის და ბედნიერების უშრეტი წყაროა.

ვაჟა ეგრისელი ჭეშმარიტი რელიგიური მსოფლგანცდის პოეტია, ამიტომაც მის შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს სიყვარულს. ამ წუთ-



ისოფელში მისთვის რამდენიმე სახის სიყვარული არსებობს, პირველი და უმთავრესი ქვეყნის სიყვარულია, მამულის საკურთხეველზე ყველამ ყველა და ყველაფერი უშურველად უნდა მიიტანოს. მეორე კი, ქალის, დედის, ოჯახის სიყვარულია წმიდაწმიდა, შეუძღვრველი, ადამიანის სულში უკეთილშობილესი გრძნობების გამოსატყულება.

ვაჟა ეგრისელის სიყვარული მზესთან ასოცირდება. მზის მრავალსახეობა და პლატისკურობა და პოეტის უნიკალური გენია მზით აღწევს სურვილს:

„ვით მზე დილისკენ
მიგველაობ
და მივისწრაფვი,
თუმც შიში მაკრობს
შენსკენ მოხედვის.
სხვისთვის? რა ვიცი,
მაგრამ ჩემთვის ხარ ჯოჯოხეთი
— მე შენ მიყვარხარ!“

„სიყვარული კაცობრიობის მორალური მზეა“.

„წადილი, ნებისყოფა ჩემი შეირხა, როგორც ბორბალი, სიყვარულით მძლავრად დაძრული, ამ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“.



დიდი გოეთე ამბობდა: „ყველა წიგნი, რაც კი ხელში მოგვოლია, მოგონილი, ნამდვილი თუ ზღაპრული, მარტოოდენ ბაბილონის გოდოლია, თუ არ არის სიყვარულით შეკრული“.

ვაჟა ეგრისელის შემოქმედებაში სულჩადგმულია ყველაფერი — ცა, დედამიწა, ვარსკვლავები, ქვები და ხეები, ზღვა და ქარ-წვიმა, ღრუბელი და ხეთა აწ გარდაცვლილი ფოთლები... სულიერების უმაღლესი გამოვლინება სიყვარული.

...ხელოვანი ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, იმაში წარმოჩინდება, თუ როგორი ხერხით სწვდება ის ამაღლებულზე ზეაღმართულს“.

პოეტს თხემით ტერფამდე სძრავს სიყვარული და არ უშინდება არავითარ სიბნელეს, კარგად უწყის, რომ ყველაფერი ღირებული ხომ ხელოვნებაში ეროსიდან მომდინარეობს. პოეტისათვის სიყვარულის გარეშე არსებობა უმთვარო ღამეს ჰგავს. გულს უკლავს უსიყვარულოდ ყოფნა, სატრფოსთან განშორება:

„უმთვარო ღამე ჰგავს უშენობას...
ცის და მიწის შუა შავით მოსილი
დადის სიბნელე —
ჩემი წუხილი...“



პოეტის რწმენით ყოფით წვრილმანებისგან ხშირად გრძნობა იცვითება, მაგრამ აქვე მიგვანიშნა იმ სასწაულებრივ ურთიერთობაზე და გრძნობის სიწმინდეზე. კერძოდ, დროის, ოცნების, სწრაფვის აკუმულირებით მთვარეზე აგებულ სრა სასახლეში, რომელიც ფიქრის უღრანი ტყითაა ჩახერგილი:

„ჩვენ ერთმანეთზე ვფიქრობთ
და ვფიქრობთ
ყოველი წუთი,
ყოველი წამი
და ოცნებათა სრა სასახლეს
მთვარეზე ვაგებთ...
ერთმანეთისკენ მივისწრაფით
დღისით და ღამით,
მაგრამ ფიქრების უღრან ტყეში
გზას ვეღარ ვიგნებთ“.

ვაჟა ვერისელი თავის სატრფიალო ლირიკაში უპირატესობას ანიჭებს პათეტიკურ კილოს, ვნებათა დაოკებული ვნების ექსტაზის გამოსახატავად. მას ხშირად განშორების წინათგრძნობაც ეუფლება და გული უცემს საყვარელი ადამიანის მოლოდინში. ხშირად სინანულსაც გრძნობს სატრფოსთან განშორების გამო. ხშირად განშორებას, ღრმა სიყვარულს ცრემლებიც მოაქვს.



„მომენგენება, რომ შემძული
და დამავიწყდი,
გადამავიწყდა

ის ცრემლებიც

რაც რომ გადინე...

მაგრამ იმწამსვე

წარსულ დღეთა ცისფერ ბილიკით
ჩამობრძანდება სინამდვილე
და შემახსენებს
რომ ყველაფერი არის პირიქით“.

პოეტმა კარგად უწყის, რომ დიდ სიყვარულს
სიძულვილი ახლავს, ხშირად ხდება ცხოვრებისეულ
პერსპექტივაზე უარის თქმა და იწყება იჭვი, უნდობ-
ლობა და მაინც დამის იდუმალეებითაა აღსავსე ყო-
ველი შეხვედრა სატრფოსთან, ბედნიერებისკენ
სრაფვა საყვარელი ადამიანის ლოდინში, მასთან
ყოფნასა და მასთან განმარტოებაში ცხადდება. ამ
სურვილს ვაჟა ეგრისელის ლირიკული პერსონაჟი
ღმერთამდე მიჰყავს:



„მე შენ მიყვარდი...
სხვა არაფერი,
მსურდა ხერეღიდან ამომეყვანა
ექვი,
და მესხნა სიმშვიდე სხვების,
სხვა არაფერი“.

ციალა მესხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწევები წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ვერისელის პოეზიაზე)*

გაგრძელება შემდეგ ტომში



300 ანტეოსი

როდესაც ცაზე ელვა გადირბენს –
ანგელოზივით შიშველფეხება,
შეგეშინდება მეორედ მოსვლის.

და...

თუ ხშირ-ხშირად
მიწას ეხები,
ფრენით დაღლილი,
ძალას იკრებ,
ვით ანტეოსი.

1966

აღუჩა შავი ზღვის პირას

გაუძახი სიერცეს...

სადღაც ექო მას იმეორებს,

ხსოვნის ზღვიდან კი

კვლავ ამოდის რამზეს მეორე,

ვინაც სიკვდილი გააიაფა.

მაგრამ კოლხეთი მას გადაურჩა,

აყვავებული ზღვისპირ აღუჩა,

ო, როგორ მოჰგავს –

რომაელთა გაშლილ იაღქანს.

1969



არ ჩანს ბაბილონი

ცა – ოკეანეა

და ფიქრთა კატარლით,

ჟამი უსამანო,

სადღაც მიმაქანებს...

არ ჩანს ბაბილონი და არც

ქანაანი,

მხოლოდ კოლხეთს შუენის

მთვარის იაღქანი.

1972



ტატაში

ცა –

მზის დროშას მიმწუსრამდე
ვარდისფერად აფრიალებს...
და მაცხოვრის ნატვრაში,
ჩუმად,
მთვარის ცალქიანი,
მოდის ღამე – ტატაში.¹

1994

¹ ტატაში – შავი სარი (საბა)



300 ანას და იოკიმეს

გაჩენიდან ძე ადამის,
ათასფერად მონარნარეს,
შესციცინებს, როგორც იმელს:
დღისით – მზეს და
ღამით – მთვარეს,
ვით ანას¹ და იოკიმეს³.

1992

2,3 – დეთისმშობელ მარიამის მშობლები



* * *

წარსულიდან კვლავ მოისმის

შორი ხმები მატთანის:

– წკვარამი აღარ ნათლდება!

დრო!

 მკვდრებსაც რომ გვატიალებს,
ნეტავი,

 რას გვემართლება?!

1979



* * *

მწუხრმა ფრთები გაშალა –
ღამის მიმოფინველი,
 თუმც არც ხენაა,
 არც მკაა.

მაინც ტყიდან ფრინველის
ისმის: კაა-კაა!
 კააა-კაა!

1962



* * *

ვითარცა წინათ,
ახლაც მოკვდავნი,
ცაში ოცნების კოშკებს აგებენ.
თუმც მიწა არა,
ცაა უფსკრული,
სადაც ღმერთების
სარკოფაგები –
ვარსკვლავებითაა –
დალურსმული.

1978



სული

(ვარიანტი)

მოწმენდილ ცაზე რომ გაიელვებს,
ელვა კი არა,

იგი სულია,

არ აქაურის,

ვიღაც მიღმურის.

ყოფნა-არყოფნის ცით შენიღბულის,
მას არც საწყისი,

არც სასრული აქვს.

1986



შენი ლექსები

არც კი გახსოვს,
ცოფმორეულ დუნიაზე,
მოსისხლე მტერიც თუ
 გძულეობია,
სიყვარულის და სიხარულის
ცრემლით გაღეშოდს.
 შენი ლექსები –
მომლოდინე კუნძულებია,
მიმოფანტული –
 პოეზიის ოკეანეში.

2004



* * *

ღამეები კი არა,
ღღეები გველიან,
შოორეული გზები რომ
გათელეს...

სიცოცხლე –
ბნელია,
სიკვდილი – ნათელი.

2005



ზაშა

ვითარცა მნათე საყდარს,

თავს ვაფარებდი მუდამ.

შენეულ ფიქრთა ოროს*.

შენი სახელი მშურდა,

უფლის სწორო და

ტოლო.

1965

* ორო (მეგრ) ჩრდილი



ბათენება

ქათქათა ღრუბლის ბალიშებზე
რომ ყრია –

ვარსკვლავთა თავებია,

ცასაც მოწვევებია ყინწი.


მთები –

დაკუნთული მკლავებია,

ზღვები –

თვალებია მიწის.

1968



ოსკო კოლხეთი

შოთორეული წარსულის ქარები,
შავ ზვირთებს,
ვით ათასწლეულებს,
ფაზისისკენ მოდენიან:
კოლხეთი –
უფლისაგან პირველქმნილი
სამყაროს მოდელია.

1963



* * *

ცის ლაჟვარდს რომ მიეფარა,
მოქათქათე გედისფერად,
ფთილა არის თუ ქორია?!
შენისთანა ბედ-იღბალი,
უფრო სწორად ბედისწერა
ქვეყნად არვის არ ჰქონია.

2004



* * *

შავი ღრუბლების ყაბალასებით

მთები,

შორიდან ჰგევანან ფირალებს.

ელვამ და მესმა სივრცეები უცებ

მორწყეს ცის.

და ქარი სადღაც,

შემოდგომის ხეებს

მოწყვეტილ

ყვავთა შავ ფოთლებს მიაფრიალებს.

1979



გაზაფხული

გაზაფხულს,

ათასგზის ნაფერებს,

ათასმეერთედ ვეფერები:

– ბაღებს –

ათასფრად რომ ღებავს.

რაში აზავებს ამ ფერებს,

საიდან მოაქვს ეს ფერები?!

1969



ქართული მიწა

აი, ახლა ცხრიდან,
ერთი ძმა და
 ერთი და მყავს,
და იმათ სულებს ვფიცავ,
 რომ მე ქართული მიწა,
ვითარცა აკვნის ბავშვი,
 ატატებული დამყავს.

1991



* * *

ჩაისეირნეს წვიმის ეტლებით –
შემოდგომის ცივმა ქარებმა,
და აი, ახლა ვარსკელავებით
ცა იტოტება.

მიძინებული ტყის მწუხარება –
გამოაღვიძეს ფულუროში
მსხდარმა ჭოტებმა.

1977



* * *

აქ არყოფნის ფიქრით დამზრალ,
ყოფნის ცეცხლზე ხელებს
ვითბობთ,
განშორების გვღვეს ქარები –
და... გავრბივართ იქით,
თითქოს,
ჩვენ, სიკვდილი გვექარება.

2007



ბახეში – 1992-1993

აღაზანი და იორი,

მთებს უკავიათ მათრახად,
და ვითარც ტყვეებს თათარნი,
ზვირთებს კვლავ ერეკებიან...

ჩემი ღამაზი მამული
ასე ვინ გამიპარტახა?!

1993



* * *

ელვად მედინი წამი,
სანამ სინათლით სავსეს
გატეხდეს მთვარის ქილას,
მანამ,
შენი მზე ღამემ
იყიელოს, ვითარც დილამ.

2001



* * *

ელვად მედინი წამი,

მაგრამ ცრემლს

ვეღარ აშრობს!

პასუხს არ გვაძლევს მიწა!

მიწაა დედის საშო,

ბოლოს,

იქ უნდა ჩავებრეთ!

2007



* * *

"ხეაღემ იზრუნოს ხეაღისა"
ხალხური

მუდამ დღეის-დღით ცხოვრობდი,
რადგან იცოდი,
ირგვლივ ბევრი ფანტომებია*.
და შხამიც მიტომ დალიე.
ქვეყნად არასდროს არ გდომებია
ყოფნა,
შენ მედღეხვალიედ.

2006

* ფანტომი (ფრანგ) – ფანტასტიკური



მწუხრის ლიტანია

მთიები, ვითარცა მლოცველი,
მიმწუხრის სიხუმეს ანთებენ...
საყდარში მიიღტვის უკვე მრევლი,
უფლის სიშორეს ტირიან
სანთლები,
საშანდლეს ევსება
უპე ცრემლით.

1976



კოლხთა ჭვეყანა

ტევა არ იყო მიწაზე,
ნახა ცამ,
 კობი შეჰყარა;
მერე იმდენი იწვიმა,
 მერე იმდენი ითოვა,
სანამდის კოლხთა ქვეყანა
 არ დაშალ-დაათითოვა.

1964



დაღამება

დღემ კვლავ მიიხურა კარი

და ცა ღრუბლის თუთუნს

ადევს

მურიცხს¹, როგორც ნორცხვას².

მიაბოლებს ღამე მოვარეს,

ყმაწვილივით მორცხვად.

1964

¹ – მურიცხი (მეგრ) – ვარსკვლავი

² – ნორცხვა (მეგრ) – ნაკვერცხალი



რატომ?!

ბორცვი თოვლის ქუდ-ფაფახით,
ჩეხნეთიდან საყაჩაღოდ
გადმოპარულ –

მოხანს ლეკად.

ასე, ჩემო! ამ "ცუდ ლექსებს"
უნდა მეტი ტვინის ჭყლეტა.

რატომ?!

გეტყვით ჰერმან ჰესე*.

1969

* ჰერმან ჰესე – გერმანელი მწერალი, ნობელის
პრემიის ლაურეატი



* * *

ცამ მოვარის წარბი
მაღლა აზიდა
და ვარსკვლავებით თვალი ევსება...
ზღვამ აღელვება უცებ ისურვა.
და ახლა ნაპირს
რომ კოცნის და ეაღერსება,
ტაღლა კი არა,
არის ზღვის სული.

1979



ტრიადა¹

ჭოროხი,
ენგური,
ხობოსი,
ვით ტიგროსი, ევფრატი,
ნილოსი –
თავშესაყარი ოაზისთა.
და... მოკრიახე კოლხეთის წარსული,
მსურს ჩავსვა მომავლის
ღამაზ ოგვაჯეში,²
რომ იბარტყოს ლეგენდებმა
ფაზისთან.

1969

¹ ტრიადა (ბერძ) სამეზა

² ოგვაჯე (მეგრ) საბუღარი



* * *

ცად მიჰქრის წლები სინათლის
და ღოცვად ცვივა
ფიფქები,
ღიაა უფლის კარი.
სულ მალე ერთად იქნება –
ცოცხალიცა და მკვდარიც.

1992



რთველი კახეთში

პირმოტყედილი ოქროთი –
ამივსე შავი ქარასხი*,
შენი "მანავის მწვანეთი".
პირთამდე ერთიჯ დაასხი,
დაელო და...
აჰა,
წავედი.

1988

ქარასხი – ყანწი, ჯიხვი



საქართველო – 1992-1993

შავი ზღვა ისევ გადადის ნაპირს,
რადგან დედათა ცრემლები
ერთვის,
(არავინ იცის, როგორ მოიქცეს!)
და ლამისაა ცა, –
ჩამოიქცეს,
ამ დროს რას ნიშნავს
ღუმბილი ღმერთის?!


1993



ორმოცზე მეტი წელიწადია

ჩემი ფიქრები ეაღერსება
 დღეს – მზის შუბოსანს
 და თეთრ ღამეს –
 მოვარის წაღლიანს,
 რომ დასტრიალებს გოჯის ციხეს,
 შხეფსა და ფოცხოს.
 ორმოცზე მეტი წელიწადია,
 რაც მე
 კოლხეთის წარსულით ვცოცხლობ.

1981



* * *

ადამის ძეო,
უკვდავების სამოსი გმოსავს,
და... მაგრამ,
მაინც,
თუ არ გწყალობს მაღალი ღმერთი,
ფასი აქვს ერთი –
წასვლას და მოსვლას.

1982



ალვის ხე სასაფლაოზე

არ ჩანს სიკვდილი,
მაგრამ მწუხარ სასაფლაოზე,
 ვითარცა მისი ნაფეხურები,
სსოვნა წაშლილი ყრია ლოდები.
ჭიშკართან ალვა ნამის თვალებს
რომ აფახულებს,
 ნეტავ,
 ვიცოდე, ვის ელოდება?!

1996



* * *

ჩამოიარა ქარმა ზღვისკარად
და ღელვის ცეცხლი

კვლავ გააჩადა.

ერთმა ტალღამ კი, როგორც ყაჩაღმა,
მხარზე მოიგდო მოქათქათე

ნაბადი ქაფის

და მიაშურა შორეულ ნაპირს.

1962



ღამე კოლხეთში

ზეიმობს ურცხვი –

მურიცხი,

სამყაროს სხვა ფერი ეღება.

ჩანს: წყალობს უფალი კეთილი.

ცა –

თითქოს ტბა არის გედების

ღა...

მთვარე მიცურავს გედივით.

1968



ხეთაცა და დარჩელიც

პონტო,

სანაპიროზე

მზეს სულ დროშად კიდებდა...

აი, ახლაც მისტირის –

ხეთაცა და დარჩელიც:

კოლხეთის ძველ დიდებას,

შოთრ წარსულში დარჩენილს.

1963



* * *

ქელეხის სუფრას მისხდომიან
მექელეხენი
და მოსდით ალბათ ზომაზე მეტი.
ბოლოს სიკვდილის სადღეგრძელოს
სვამენ "ადესით",
რომელსაც ჩუმად,
ჩამავალ მზის მწუხარე ეტლით,
მოკვდავთ სულები მიჰყავს
ჰადესთან*.

2002

* ჰადესი (ბერძ) მიწისქვეშა სამყაროს და
მიცვალებულთა სულების მბრძანებელი

* * *

არც კაპიტანი და არც ბოცმანი,
გემი კი მღვრიე ზვირთებს
მისერავს...
გემბანზე მოჩანს ერთი მსახური.
მას "სოკოს" თეთრი
ქუდი ახურავს
და სოკოს ფეხზე უგავს კისერი.

1964



უნდა შევუნდოთ

რა დღეს და რა ხვალ,
ერთნაირად ხელეგს
დაგვიქნევს,
ყოფნით დაღლილი მზე – საღამოსი.
და ნუ ვაწამებთ,
და ნუ ვატირებთ:
უნდა შევუნდოთ!
თუა ნამუსი,
ჩვენ,
სულ პირველ ცოდვის პატიმრებს.

1994



* * *

რომ მიხმობს ცისკრის ვარსკვლავი,
ვინ იცის,

თუ რას მიქადის!

ცა – გადამდნარი ოქროა,
გზა კი სულ ოკრო-ბოკროა,
ნეტავ,

თუ მივალ იქამდი!

2005



* * *

კერის ცეცხლის აღს გამოქცეული,
თმაშეტრუსული და შავი კუმა*,
ცისკენ მიიწევს მედიუმივით.

მიცვალებულნი,

გგონიათ ღუმან?!

ლაპარაკობენ მკვდრები...

ღუმილით.

1986

* კუმა (მეგრ) კვამლი



* * *

იქ, სადაც ზღვას ერთვის ფაზისი,
უეცრად,
ღელვა თუ წარსული,
მოადგა ნაპირს და გაბრუვდა,
თითქოს და კოლხეთის
ხელმწიფის ასული –
მედვა,
მშობლიურ კოლხეთში
დაბრუნდა.

1966



* * *

სიმძიმისაგან ჩატყდება

ცისარტყელის ხიდი,

მაინც ვერაფერს შეცვლის

თვითმკვლელობა კომეტის.

და... ცა უბეში იღებს:

დღისით მზის –

ოქროს,

ღამით – ვერცხლის

ძვირფას მონეტებს.

1977



ამფორეპი

პონტოს ნაპირზე დაბუდრებულნი
შავი დღეეპი,

აღბათ უშლიდნენ!!!

და უცხო იყო ადრე მათთვის

ნათლის ამბორი.

კოლხური მიწა გულს გვისხნის და

გვაწვდის გულმშვიდად,

იდუმალეპით და სიშორით

სავსე ამფორეპს.

2001



ზღვის ეპიტაფია

იდუმალეებით მოცული,
მირიად წლებით ნარწევი,
ნაპირზე თეთრად რომ ელავს,
განა ის მართლა ქაფია,
ისაა ეპიტაფია –
ზღვის,
ქარის ხელით ნაწერი.

1963



* * *

შურსა და მტრობას რომ აღარ
სძინავთ,

ეს აშკარაა,

დაუფარავი;

შავი ხარხარი იხმის

სატანის.

ეჰ, დავითივით, იცის არავინ:

კიდევ რამდენი

დიდგორი მაქვს

გადასატანი.

2007



თბილისი – 1991

როცა თბილისში,
ძმათა შორის გაჩნა ეკალი
და როდესაც თოფი გაუარდა,
იმ პირველ ტყვიას,
ღმერთო,
ნეტავ, მე მოვეკალი!

1991



* * *

ვითარცა ბაღლი,

ქარს ტაღლა ჰყავს

ატატებული,

მოჰყავს შორიდან და არ გრძნობს

დაღლას.

თან სდევს ღელვა და არ ეშვება.

მერე ამოჰყავს სანაპიროზე

და ეშინია ხელის შეშვების.

1980



ისიც შურთ დედამიწაზე

არა ჩანს ქვეყნის მსაჯული,
დიდი ტანჯვა რომ გაკმაროს!
და...

რომ ხარ კლდეს მიჯაჭვული,
ისიც შურთ დედამიწაზე –
"ამირან,
ცოლ-დედამკვდარო!"

1964



✠

ვიცი, ჩემია, რაც არი

ცრემლებით პირგაღესილო,

ჩემო ცულო და

ნაჯახო! –

ვიცი, ჩემია, რაც არი.

მირჩვენის სხვათა ბაჯაღლოს,

ჩემი ყებურის* ნაცარი.

1963

* ყებური (მეგრ) კერა




ქართუ, კარდუ!

შორ წარსულთან ფიქრებს ვაბამ
 და ტირილი მესმის მარდუს,¹
 ხეთასა² და თორსა-დღვაბას,³ –
 ვიღაცა ხმობს: ქართუ!⁴
 კარდუ!
 ლე-ქარდუ-სთან⁵, აი, აქვე, ინგირის⁶ პირს...
 ჭანწყარს⁷, ჭაქვინჯს⁸.

1967

-
- 1 მარდუ (მეგრ) მოზარდი
 2, 3 სოფლები ხობის რ-ში
 4 ქართუ, კარდუ – უძველესი კოლხური (ქართველური)
 ტომის სახელწოდება
 5 ლექარდუ (ლექარდე) სოფელი წალენჯიხის რაიონში
 6 ინგირი – ვნგურის ძველი სახელწოდება
 7 ჭანისწყალი – მდინარე წალენჯიხის რ-ში
 8 ჭაქვინჯი – სოფელი ზუგდიდის რ-ში



1991 – 1992 წწ.

შურის და მტრობის ირევა მუმილი...

ძმა ძმას და...

ძალდი აღარ სცნობს

პატრონს.

სიყვარულს უცებ შეყვრია კეთრი,

სად არის ღმერთი?!

1993



* * *

(ვარიანტი)

შარავანდელით მოსული,

პოეტო,

შენი სახელი,

ბევრს,

ბევრ რამეებს აკისრებს!

წახვალ შენ! –

ბევრის მნახველი

და... ბევრიც მოგისაკლისებს.

2007



მოუწყენია აბარწას

ფერისცვალება მოდის და,
ბუნებას ფერი ეცვლება.

მე კი,

წუხილმა გამბაწრა:

მოუწყენია აბარწას*,

რომ გაფრენია მერცხლები.

1964

* აბარწა (მეგრ) – აივანი



* * *

ათასწლეულთა ტევრში შესული,
სიტყვებს დაეძებ
და დაწანწალებ,
რადგან ქართულ სულს
მოესურვა.
და... პოეზიის შენ ხარ წაწალი
ისე,
ვითარცა მთა და ხევსური.

1986



გზები და ბილიკები

სადღაც მიდიან ბებერი გზები
და მოისმის ვაი და ვიში...
ხოლო იქვე არბი-ჩარბიან
ბილიკები –
ბავშვობისკენ,
მაგრამ თვალი სასაფლაოსკენ
უჭირავთ შიშით.

2001



* * *

მამა-პაპათა ნანატრმა,

სად შეგების სიომ დაჰბერა:

"ჩემი ცხოვარი იქ ძოვსა!"

ძმად ვეფიცები ამირანს –

"უძმოს და

უმამისძმოსა".

1969



ოსკ ვიზნი – "იქმენ ნათელი!"

ღმერთმა მოგხედა!

"იქმენა ნათელი",

რადგანაც შენი სული ჩემობდა.

და გინანავებს პაღმა

ქოქოსის.

ოქროს ირემიც მთაზე შემოდგა,

ბადეს ამოყვა თევზი

ოქროსი.

1993



* * *

დღის მიღმა,
ღამე მოელის –

ცას ვარსკვლავების მაყარით,
მზეც საქორწილოდ ირთვება.

სივრცეშიც გადაიკარა.

უამს სამხრობისას

ზვირთებმა,

ჩამოისამხრეს –

ზღვისკარად.

1964



საქართველოს მტრებს

აგი არასდროს გგკლებია,
კარგის ვართ მოიმედენი!
(ქართველი ქმნიდა ეპოქას!)
და... საქართველო –
ედემი,
ცხადში კი არა,
სიზმარში,
რომ ნახონ, ისიც ეყოფათ!

2004



* * *

სინათლის უამთა ქარები,
აღბათ ეძებდნენ სამოთხეს
ცაში,

მიწიერ ეჭვითაც.
ვარსკვლავთა თავის ქალები,
აღბათ, იმიტომ გამოსრეს,
რომ წუთისოფლის ტანჯვისთვის
მერე იქიდან ეჭვრიტათ.

1989



ღელათა მონასტერში

სანთლები არა,
სულებია მიცვალებულთა,
რომ ანათებენ...
და იწვევენ ცისკენ ვედრებით;
აქ დარჩენილმა მოკვდავებმა
რომ იგრძნონ შვება.
და დაბზარული ტაძრის კედლები –
ანგელოზებს კვლავ
უჭირავთ ფრთებით.

1993



* * *

თვალში ჩავცქერი ათასწლეულებს,
არ მეშინია (ვიმეორებ)

უკან მოხედვის.

და ალბათ ბელი

მეც გამიღიმებს.

თუმც უძველესი ჩემი

კოლხეთი,

თავს კვლავ აფარებს –

შორეული წარსულის მღვიმეს.

1983



ათას მოგონებას ბარდნის

არ მშორდება და თან დამდეგს,

ათას მოგონებას ბარდნის:

"შეუხედავი ჯუდი"*

და "სიმღერა პერანგზე" კი

ტომას ჰუდის.

1964

* ინგლისელი მწერლის – ტომას ჰარდის რომანი




* * *

მეხის ეტლი ცაზე გადირახრახებს,
ხის ტოტები ელვით –
კვირტებს ნასკვავენ,
გაზაფხულის იქით,
სადღაც დასავლით.
აქ,
ზღვისკარად,
ერთი ციცქნა ვარსკვლავი
ღამის ტოტზე ჯდება ცქირპაპასავით*.

1961

* ცქირპაპა (მეგრ) – ძალზე პატარა ჩიტო



* * *

(ვარიანტი)

მიწაზე დაუტევარი,

საფლავშიც ვერ დაეტევი.

და...

მაინც დაიბეკნები.

მესმის ხმაური ბელტების...

წინასწარ გტკივა ნეკნები.

2007



* * *

ვით მეგრული "იავნანა",
 ძილისპირულიდან მესმის,
უფლის ხატთან მუხლმოყრილი,
როგორ ჩურჩულებდა დედა:
– "არ არს ჯვარცმა უმძიმესი,
ვიდრე ქართულ ჯვარსა
 ზედა".

1964



* * *

რომ მომცა ფრთები –
ცაში საფრენი,
სხვა არაფერი,
ო, ამისთვის უფალს მადლობა.

1960



* * *

შემოდგომის მწუხრია,
ისმის ჩიტთა ჟღერტული;
ჯარგვალში, ვით მიჯნური,
ერთურთს შესციცინებენ
"არგუნი¹ დო ბურჭული"².

1960


1,2 ნაჯახი და ცული (მეგრ)



* * *

ცელი უჭირავს თუ ორღესული,
ერთ მშვენიერ დღეს
უნდა შევიპყრო
და იარაღი უნდა ავყარო.
მართლაც და რაა,
შიშით სიკვდილის.
ზოგჯერ მზეც როა, სულ ფერმიხდილი
და რომ კანკალებს
მთელი სამყარო.

1998



* * *

ხობის პირას,
ახლოს ყულეფს,
თხმელის ხეზე ზის ბავშვობა,
ხელთ უჭირავს გოდორი:
ოჯალემს კრეფს და გაჰყურებს
სქვისა და კოდორეს.

1963



ხილვა: ეკატერინე ჭავჭავაძე
(1855)

სამეგრელოს დედოფალი,
გორდის ღამაზ სასახლეში
ზის მარტოკა ჯავრიანი.
ფიქრში ხედავს:

აფრებს რომ შლის,
ომერ ფაშას ჯარი არი.

1964



ც ა და ზღვა

ზვირთებს თოკები ასრჩობს
ქარების,
გრძელსა და მოკლეს
ვერ ანსხვავებენ,
ეჭახებიან კლემბსა და თავს
იმრგვალებენ.

ცა –

სასაფლაოა ვარსკვლავების,

ზღვა –

გრიგალების.


1966



პოეზიის ჩირაღანი

სიმღერაა სიცოცხლის საწყისი და
სასრული,
უსიმღეროდ ცხოვრება –
აღარა ღირს ჩირადაც.
და შენ,
დიდო პოეტო!
უფლის ნებას ასრულებ:
ქართულ ცისკენ ეწევი –
პოეზიის ჩირაღანს.

2003



* * *

ეს მიწაა, –
 ცოდვით სავსე,
სხვაგან არსად აღარ იხმის,
არც კვნესა და
 არც გმინვა.
სიყვარულით ანთებული ღმერთს
 ცის სული,
მიწიერი სიძულვილის განსაგმირად,
ვარსვლავების –
 მშვილდ-ისრად აქვს
 მოზიდული.

1982



* * *

დილა მოელის და...
მზე არა ჩანს,
დამის ლოგინში აღარ იშლის
აღბათ კოტრიალს.
ვარსკვლავები კი არ აყონებენ:
დამშეულები, ვით ყვავ-ყორნები,
ცაზე მიჯაჭვეულ მოხუც მთვარეს
ღვიძლს უკორტნიან.

1995



* * *

მზის ჩაუქრობელ კელაპტრით,
მდგარს უფლის
საკურთხეველთან,
აწ ვერაფერი შეგცვლის
რწმენის საღ კლდეზე –
მიჯაჭვეულს,
მონათლულს წყლით
და ცეცხლით.

1984



ჰინჯილა

პატარძალივით, ირმის ყელა
მიმზერს ჭინჭილა,
არავინ მამხნევს,
რომ თვალები მისკენ
მიჭირავს.

1974



* * *

დაბლა ჩამოდის სევდა
ღრუბლების,
ცისკენ მიიწევს
ზღვათა მორევი.
და ვერ უსინჯავს ვერავინ გემოს –
(ცალ-ცალკე არა,
ერთად ორივეს)
სამყაროს ჩვენსას –
ზემოს და ქვემოს.

1986



* * *

მზის შთამომავალს,
პოეტს ცისიერს,
მიწისთვის აღარ გაგიმეტებენ,
უკვდავმყოფელნი კვლავ
ღმერთ-კაცების:
მოფრინდებიან ანგელოზები
და მეცხრე ცაში გაგიტაცებენ.

1998



სამეგრელო – 1993

სუთჯერ მოგიკლეს სამეგრელო,
შენ "შენებმა"

და ახლა უხდიან პანაშვიდებს.
აწ არაფერი გვეშველება.

ერთი –

სიკვდილი თუ დაგამშვიდებს.

1993



* * *

შემოდგომა,
ვარსკვლავების ყვითელ
ხეივანს,
მიჰყვება მთვარე მარტოდ – მარტო,
კვლავ არხეინად!

1962



ანაკლია და ყულევი

ზღვისკარად ლოცვად დამდგარან –
ანაკლია და ყულევი.
ნაპირს ასკდება ბლავილით
ზვირთთა ჯოგები ულევი.
ქალწულ მოვარეს ცის სარკეში
შიშველი მკერდი მოუჩანს.
ცას ვარსკვლავების წყლულები
ვერ იქნა,
ვეღარ მოურჩა.

1965



რაა სიცოცხლე?!

დარდს გვიმსუბუქებს ქვეყნად
არყოფნის,
ჩვენი ძვირფასი მკვდრების
სხენება,
მერე მოფრენა სიზმრად ფენიქსის.
რაა სიცოცხლე?!
ჩიტის,
ტოტზე ჩამოსვენება,
მერე ფრთის გაშლა –
უსამანო ცაში ფრენისთვის.

1974



ტირის ევა...

ევფრატის პირ –
 ედემ ბაღთან,
სადაც ოქროდ ცვივა ნამი,
ზამთარ-ზაფხულ,
 დღით და ღამით,
განდევნილნი სამოთხიდან –
ტირის ევა...
 წუხს ადამი.

1965



* * *

შენთან –
 აღერსით სავსე,
 ფიქრის მოქათქათე ხურჯინს,
 კოჯრიდან მონაბერ
 სიოს ვატან.
 ღრუბლის პაწაწინა ფუნჯით,
 ღამემ ცას მთვარე
 მიახატა.

1965



* * *

ლეგენდებით გადახურულ –
შორეული წარსულიდან,
(როცა ღამის კარს მოვხურავ)
ვისმენ კირკეს¹ და მედეას,
ჩუმ ლაპარაკს –
ძველ კოლხურად.²

1966

¹ კირკე – კოლხეთის მეფის აიეტის და მედეას მამიდა (ძვ.წ.ად. XIV ს.)

² კოლხურ ენაზე – “კოლხიდი დიალექტო” (აპოლონიოს როდოსელი ძვ.წ.ად III ს.) არგონაუტიკა, გვ.175



* * *

სასაფლაოსკენ მიმავალი,
სადაც რომ იწყება აღმართი,
ხმა ისმის რატის თუ გრამიტონის:
– მოვა სიკვდილი და ყველაფერს
წაგართმევთ,
ერთადერთს,
შავ ქვას თუ დაგიტოვებთ.

2001



* * *

შავგულა, შავითმოსილი –
სარკმელთან მიმჯდარია
ავსული,
ჩემს სურათს ავლებს
შავ არშიას,
თუმცა ყოფნა ჯერ აღარ წასულა,
არყოფნაც ჯერ კიდევ
ვალშია.

1998



ქალაქი კოლხა – 5100

ჰყვავის ბალი ედემის
და სამოთხეს ამშვენებს...
არ ჩანს მწყურვალ –
 მშიერი,
ტიგროსსა და ევფრატს შუა,
ქალაქ კოლხას აშენებს
 ან-მარეს* ნაშიერი.

2002

* ან-მარე (ცის კაცი), კოლხეთ-ქიმეთის (ეგვიპტე)
ხელმწიფე



ბედისწერა

სამოთხისკენ მიმავალი
არ ჩანს –
არც გზა და არც ხიდი.
ჭიშკარს მოსდგომია მზე-გოდებად.
 არ აღგე,
 გარეთ არ გახვიდე,
კართან სიკვდილი გელოდება.

1968



ევგენიოსი და თემისტეოსი

ათასწლეულების მერეც,
კოლხეთში მათ ნაფესურებს –
მზის ბეჭედი ისევ აზის
აწ უკვდავებს ჟამმა სდიოს –
სიბრძნე მიღებულებს
ფაზისს:*

ევგენიოსს,
თემისტეოსს.

1968

* ფაზისის (ფოთის) აკადემიაში სწავლა მიუღიათ ბერძენ ფილოსოფოსებს, მამა-შვილს: ევგენიოსსა და თემისტეოსს.



* * *

ისევ ყვავილობს ბაღი ედემის,
სიცოცხლის ხეს კი
 არყოფნის ყუნწით
კვიდივართ ისე, ვით ევას ვაშლი,
ასეა ეხლაც,
 ვითარც უწინ;
ვერ ვიხდით, ვრჩებით
სიკვდილის ვაღში.

2004



კალიგულა

ბევრის მომსწრე საქართველომ,
თავის გული საგულეში,
რა ქნას,
რომ ვერ დაიგულა,
რადგან ხედავს: თვის საწმეოსში,
ბევრ უგულო –
კალიგულას.*

1969

* კალიგულა – გაიუს იულიუს ცეზარი, რომის ტირანი იმპერატორი (ახ.წ. 12-41)



წალენჯიხა

ტარიელ დადიანი,
აზნაურმა გვაჯავამ,
იმდენი აჯახირა
და იმდენი აჯავრა,
სანამ ხელთ არ ჩაიგდო
ობუჯი¹ და ჯადირა².

1999

1, 2 – სოფლებია წალენჯიხის რაიონში.



ამური

ოდიდან ასე ჩვევია ამურს¹:

დაუკითხავად მოვა და
წავა.

და აღარ იცდის.

დღეს,

შენ, მას ენდე!

რა იქნება ათი წლის შემდეგ,
არავინ იცის.

1987

¹ ამური – სიყვარულის ღმერთი, რომაულ მითოლოგიაში.



ჭანის ციხე

სისხლისმღვრელი ომებით,

ბევრი ათასწლეული –

ამ მიწაზე აირწყა.

ჭანის ციხე დამზერდა –

კინისკურს და

ჭანისწყალს.

1986



ევანგელე, ეპისტოლე

ჰელიოსის ნაშიერებს –
კოლხებს ვუძღვენ
 მეფის ტოლებს
და სიყვარულს მამულის:
ევანგელე,
 ეპისტოლე,
“ასერგასნნი ფსალმუნნი”.

1984

-
1. ჰელიოსი (ბერძნ.) – მზის ღმერთი.
 2. ევანგელე (ბერძნ.) – სახარება
 3. ეპისტოლე (ბერძნ.) – მოძვ.წერილი
 4. ფსალმუნი (ბერძნ.) – სახოტბო საგალობელი
“დავითნი”.



* * *

ვით ჩვენი ყოფნა,
მიმწუხრისას,
დასაველით ჩაგა მზე გოდებად,
რომელიც მთელი დღე
ამაყად დაგვეყურებდა.
და... ჩვენ მშიერი
სამარე გველოდება,
ჩვენი სიცოცხლით –
ელის დაპურებას.

2007



* * *

მოვარე მოხრილ მახვილივით –
ჩამოდრუბლულ ცას
გარტვია.

მხრებს იბერტყავს ღამე სველი
და ანკესზე აგებს ელვის –
ვარსკვლავს, როგორც
ღაჭაჭიას.*

1974

* ღაჭაჭია (მეგრ.) მოლუსკი.



* * *

სულ სხვა იყო სიყმაწვილის

სიჩუმე და

სიმარტოვე.

და სიზმრებმა ჯვარზე მაცვეს.

დღეებმა კი ხელი მტაცეს:

ბავშვობაში არ დამტოვეს.

1982



აიეტის და ფარტაზის

მოყვავილე “პონტოს ბოლოს” –
ვხედავ კოლხეთსა და
ფაზისს.

ათასწლეულების მერეც –
ვარსკვლავით ბრწყინავს
აზრი:

ბრძენი იოანე ღაზის¹,
დიდი პეტრე იბერის² და
აიეტის³ და ფარტაზის⁴.

1967

¹ იოანე ღაზი – კოლხეთის ფაზისის აკადემიის მოძღვარი)

² პეტრე იერი – ქართლის სამეფოს ტახტის მემკვიდრე.
უდიდესი ფილოსოფოსი და თეოლოგი.

3, 4 – აიეტი, ფარტაზი – რიტორები
(მჭევრმეტყველები)



* * *

(ესკიზი)

სიმყუდროვით გადახურულ –
 ცის შორეულ სასახლიდან
ვარსკვლავების ჩანს რიკული.
ღამე თითქოს ნალიაა,
 კარზე მთვარის
 ნაღმიკრული.

1966



* * *

შაოსან და მტირალ ღრუბლებს,
დიდი მგოსნის თვალი ეძებს:
მთვარის სახეს –

სად მური ცხეს.

ღამე კი, ვით პალიმსესტზე¹,
ცაზე შლის... და
წერს მურიცხებს².

1986

¹ პალიმსესტი (ბერძნ.) – ეტრატ-ხელნაწერი, რომელზედაც ძველი ტექსტი გადაფხეკილია და ახალია დაწერილი.

² მურიცხები (მეგრ.) ვარსკვლავები



* * *

წინაპართა სულებო!

ცოცხლები, ვით იქნებით,
ათასჯერ გასრესილი
ველურ საუკუნეთა
ლოდებით და ჩლიქებით.

1993



რომაელთა თეთრი აფრები

პონტოს ნაპირზე –

ხსოვნის მაღალ

ბორცვზე შედექი

და კოლხეთის წარსულს გახედუ:

თოლიეპივით წამოშლილან

რომაელთა თეთრი აფრები,

ჩვენსკენ იღტვიან –

ქარში მათი ისმის ტკაცუნი,

სხვა არაფერი..

მათ დახვედრა უნდა

კაცურად.

1981



* * *

(ესკიზი)

ვარსკვლავებით დაწერილი
სივრცე,

მთვარის აფრიანი,
ღამის კედელს მიკრობია.

მზის ცალთვალს რომ

აბრიალებს ცა –
თითქოს და ციკლოპია.

1969



* * *

მოქათქათე და სავსე გულ-მკერდით
მთვარე ვენერას მოჰგავს

მილოსელს.

ზღვის აკვანი და ქართი ნარწვევი,
სავსეა ძილით სანაპიროსი.

და ვარსკვლავებით ცა –

დაწერილი,

უჭირავს ღამეს, ვით პაპირუსი*.

1997

* პაპირუსი (ბერძნ.) მცენარის ღეროებისგან დამზადებული საწერი მასალა, რომელსაც ხმარობდნენ ეგვიპტელები და სხვა ძველი ხალხები (მათ შორის ქართველებიც).



კოლხთა წარსულს შეუვლი

მიწაზე ვერ ეტევი,
ვითარცა მთვარეული,
ქარიშხლების ეტლებით;
მიღმა ათასწლეულის,
 კოლხთა წარსულს
 შეუვლი, –
დაქანცული ხეტებით
 და მძვინვარ ზღვად
 ქცეული.

1978



* * *

ცის მაღალი აივნიდან,
ხვია-ხვია ვარსკვლავები,
გადმომდვარან,
ვით ცირები.
მთვარე, როგორც მესიაკონი*,
ღამის მიღმა იცქირება.

1986

* მესიაკონი (მეგრ.) გულთმისანი



* * *

ის,
აღბათ მოდგმაა არესის,
კენესა და გოდება არ ესმის
ხალხის...
და ირგვლივ ცრემლ-სისხლის
გუბე დგას...
ის მაინც ვეღარ გრძნობს
უკეთ თავს.
და სიკვდილს,
სიკვდილზე უკვეთავს!!!

2002



კაენის და აბელის

ათასწლეულების მერეც,
ცუდი სუნი რომ უდის
ძმობას, –

მტრობით გადაბელილს:
არიმანის¹ და ორმუზდის²,
კაენისა და
აბელის.

1989

¹ არიმანი (ბერძნ.) სპარსულ რელიგიაში ბოროტების
ღვთაება.

² ორმუზდი – კეთილი ღვთაება.



* * *

კოლხეთი კვლავ ზღვას გაჰყურებს:
ელოდება მეფის ასულს...
ზღვა ღელავს და თანაც
 ფიცხობს,
ეტყობა რომ დარდს იქარვებს.
ერთი ტალღა მედეად ვცან...
რომ არ ვიცნო,
 სახეზე ნისლს აიფარებს.

1969



მარულია

ყვაილებად გამოგისხამს
ცბიერება დიაცური,
თუმც რა სიყვარულია,
რომ ძილისკენ მიაცურებ,
შეყვარებულთ –
მარულია.*

1989

* მარულია (მეგრ.) ძილის მომგვრელი ყვაილი



ეძინა კოლხეთს

მითებში და ლეგენდებში

ეძინა კოლხეთს!

და ისე ფრთხილად,

ისე ფრთხილად!

(მის ფეხთაქვეშ თითქოს ნაღმი ძევს!)

შევახე ფიქრი და...

გავაღვიძე! –

ათასწლეულის ხუთის...

ათის...

და ოცის შემდეგ.

2006



* * *

(ესკიზი)

სისხამ დილიდან –
მზე სვა ყლუკ-ყლუკად
დღემ და მწუხრისას
თან გადაყვა
და დაიღუპა.

1997



* * *

არავითარი ინდო-ჩინეთი!!!

არ აურია ოქროში ქვიშა,

სინამდვილეს კი ზეცაში

აჰყვა:

– ქვეყნად პირველი –

კოლხეთი იშვა

და პონტო დიდხანს

ურწევდა აკვანს.

1966



აღარც ყამარის ხმა ისმის

აი,
აქედან – იქამდე,
სულ ცოტა დაგვრჩა მანძილი.
აღარც ყამარის ხმა ისმის.
მეზავრობაც გველის ხანგრძლივი.
“ადე, ამირან!
რას გძინავს?
ცხენს დაუყარე დანძილი”.

1977



* * *

მზე არა ჩანს,
მაგრამ სადღაც,
 დილის ნათელს აფრიალებს.
ელვა ცაზე კვლავ ჯინჯილობს.
მას ღრუბლების –
 ფაფრიანი,
მთვარე უღრენს,
 როგორც ჯილო*.

1989

* ჯილო (მეგრ.) ღომი.



* * *

(ესკიზი)

თენდება ისე უხმაუროდ,
ისე უბრალოდ,
მზე ამოდის თუ...
შენ ხარ უფალო.

2004



* * *

მთებს სიფერძკრთაღემ გადაუარა,
როცა ღრუბლებმა იწყეს

ლივლივი.

იწივლა ეღვამ, როგორც ნიბღიამ.

მერე დღღის ცამ,

მზე ყვავიღვიით,

მკერდზე მიიკრა და

მიიბნია.

1978



* * *

ნანგრევები ხატუსის*,
სამი ათასწლეულის –
მიღმეთიდან უბარებს:
– კოლხთა ხელით ნაქსოვი,
სამშობლო რომ ახსოვდეთ –
ხეთებსა და
სუბარებს.

1968

* ხატუსი – ხეთების დედაქალაქი (ძვ.წ. XXX ს.)



* * *

მწუხრის მთვარე მოცარტივით,
ვარსკვლავების კლავიშებზე
უკრავს ნელა.

მე

კი ვზივარ და წარსულის უღრანიდან
კოლხთა სული,

გამომაქვს ვით,

ჩიტს ბარდიდან

კურკანტელა.

1970



* * *

სიცოცხლეს არა,
დღიდან გაჩენის,
მკედრებიც,
 ცოცხლებიც,
 სიკვდილს მონებენ,
და მის ბრძანებებს კვლავ ასრულებენ.
სასაფლაოზე როცა კივილს
 გაიგონებენ,
მოაწყდებიან მიწის ჭიშკრებს
 მკედართა სულები.

1974



* * *

ერთმანეთში ირევა,
ვარდებიც და ეკლებიც,
რაც მითესავს,
ვიშკი მას.
ერთად მივერეკები:
სიცოცხლეს და...
სიკვდილსაც.

2007



* * *

სიშორის მიღმა გარდახვეწილი
ცა, მწუნარების
 იყო მთოველი,
ცრემლად ეკიდა თვალებზე ნამი.
მოსუცი მთვარე,
 ვით ბეთჰოვენი,
ვარსკვლავების კლავიშებზე
 უკრავდა ღამეს.

1979



* * *

ციხეზე სათოფურები,
ვამსგავსე უამთა ნატყვიარს,
ძველია,
 არა ახალი.
მთებს ბილიკები ატყვიათ,
 ვით დევთა ნამათრახალი.

1962



✠

* * *

ზღვის,
ლურჯ ნაპირზე მუხლზე დაცემა,
ჰგაეს მომაკედავის –
სიკედილის წინ გაბრძოლებას.
დედამიწას კი მდინარეები
ამჩნევია –
ზებრის ზოლებად.

1999



* * *

ვითარც ჩვევია საწუთროს,
თუ გზაზე არ გივერაგა.
დღეები მიდის...

მიხიორ...

ყოფნა, ვით ჯაჭვის პერანგი,
გსურს ტანზე შემოიხიო.

2001



* * *

ღღე-ღამის ფრთები მოუსხამს,
ყელი მზისკენ აქვს
 გაწვდილი
და გზას უფლისკენ მიკვალავს.
პატარ ბორცვს კი ბილიკი,
 მოუყუდია ყანწივით.

2001



* * *

ქუხილის სმაზე ჩაინგრა ცის კიდე,
დრუბლების სრბოლაზე
 უმატა ზღვამ დელვას...
რომ მიწის მხრებზე არა დგას
 ცა მყარად!
უფალი განრისხდა და ელვად –
თვალთაგან ნაპერწკლები
 გაყარა.

1979



* * *

რა ბედნიერი ვიყავი მაშინ,
როცა ვბაძავდით დარტანიანს,
პორტოს და ათოსს,
ანდა ტარიელს,
ავთანდილს,
ფრიდონს!

ეჰე, საწუთროვ!
მართლაც და ფლიდო!
გადავიწყება ღამაზ წარსულს
ათოგს და ათოგს.

2001



* * *

ღელვის ტოტზე ჩამომჯდარი,
ჩუმაღ შფოთავს ზღვა უფრო,
როცა ზვირთნი ნაპირთან
მიტყვრებიან.

ცა,
მიწასთან მთელი ღამე საუბრობს,
მოციმციმე ვარსკვლავები –
მათი სიტყვებია.

1986



* * *

ვიმეორებ ათასჯერ

ნათქვამს ათასმეერთედ,

რომ შორეულ წარსულში –

ფიქრით სამოგზაუროდ –

კოლხეთია “ბილეთი”

ვის არ სჯერა, მიმართოს:

ღმერთკაც ჰეროდოტეს¹ და

ღიდ ჰეკატე მილეთელს².

1973

¹ ჰეროდოტე – (ძვ.წ. V ს.)

² ჰეკატე მილეთელი – (ძვ.წ. აღ. VI ს.)



* * *

ჩემს ფეხის ხმაზე,

გამთენიისას,

ქარები ღამის კარებს

აღებენ.

ზღვას ვუყვარვარ და...

სიყვარული ბევრი

ველაგე.

და... როს მნახავენ, გამორბიან

ჩემსკენ ტალღები,

მაგრამ ნაპირზე ამოსულას კი

ველარ ბელავენ.

1998



ბექირებს და ბიძირებს

პონტოს აკუნის რწევაში,
გარდასულთა სიზმრებში
შფოთავ,

ველარ იძინებ.

და ზღვისკარად დაეძებ:

ბექირებს¹ და

ბიძირებს².

1969

1. 2. – კოლხთა (ქართველთა) შორეული წინაპრები



* * *

ისევ პირველყოფილი ქაოსია,
და სადღაც მთვარის ჩანს
კუნძული,
დედამიწა კი ნიჟარაა,
მირიადი ხმებით დახუნძლული.

1991



* * *

მთვარე ცას აქანდაკებს,
საოცრება ეს არის
და ფიქრთა ამბურდველი,
ვით მური და დესარო,
მაიოლი,
ბურდელი.

1972



* * *

მილიონი წლის კოლხეთის,
თვალში ჩაგვცქერის წარსული,
თუმცა მედია არ ჩანს.
მითიდან ის არ გასულა,
ის ლეგენდებში დარჩა.

1978



* * *

მძიმე ფიქრი გონების ცას,
ვარსკვლავით ღამით წყდება.
იმ ღვთის მგმობელთ,
იმ მასონებს*, –
რისხვა...
რაც ჩვენ,
გვავიწყდება,
ისტორია იმასსოვრებს.

1994

* მასონი (ფრანგ.) რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, საიდუმლო საზოგადოების სახით.



* * *

კაცი კაცისთვის თურმე მგელია,
ძმა,

ძმას არ ინდობს

და... ცხოვრება სივერაგია:

წამით გასწირავს კაცს

უერთგულესს.

თავლასთან დგას და ელის ავგეა,

ღიად ჰერაკლეს,

იგივე ჰერკულესს.

1993



აზრიანი გეგი

(ძვ.წ.ად V-IV ათასწლეული)

ებრძოდა უამთა ქარიშხლებს,
კოლხური სული გამძლეა –
ცაში ღმერთებთან –

სურს აფრენა.

და... ერიდუს* გემს –

ანძიანს,

ათასწლეულები უკეთია აფრებად.

1989


* სამხრეთ შუამდინარეთის უძველესი ქალაქია.



* * *

სიცოცხლის და სიყვარულის –
ლოდივით გულზე მაწევს მზე
და რა ვქნა,
ვერ მოგირჩები!
თავს მაწონებენ ნაკვებზე –
პირამიდები გირჩების.

1987



* * *

მოკამკამე ზღვის სარკეში,
რიკულები ჩანს აივნის
და თოლია მეთედ თუ
მეასედ,
ჩამოივლის და აივლის –
ზვირთთა მაღალ ტერასებს.

1977



* * *

არც ურარტუ¹,

არც ასირი².

არის ნაირი³ და მანა⁴,

პონტოს ბატონ-პატრონი.

და ყვავილობს ეს ქვეყანა:

ხალდი-ხალიბ-მაკრონის.

1969

1, 2, 3, 4 – სამეფოები (ძვ.წ. II ათასწლეული)



სამშობლო და ბუნება

უფლის დანთებული სანთლის –
ელვა არის ნადვენთი,
 ბნელში დასაბრუნებლად.
მეც, ვით ვაჟა, ვადმერთებ –
სამშობლოს და
 ბუნებას.

1962



* * *

კოლხეთისკენ მოიწევს
გილგამეში გმირთ-გმირი,
მკაცრი,

თანაც აზიზი.

ხალდია¹ მფარველი:

ბურანუნის²,

ფაზისის³,

იდიგნის⁴ და ინგირის⁵.

1968

¹ ხალდი – მანას სამეფოს მთავარი ღვთაება.

² ბურანუნი – ევფრატის ძველი სახელწოდება.

³ ფაზისი – რიონი.

⁴ იდიგნი – ტიგროსის ძველი სახელწოდება


⁵ ინგირი – ენგურის უძველესი სახელწოდება.



* * *

დამფრთხალი მიწის შავი სიმძიმით,
უსამანო ცისკენ იურვის
პოეტის სული –
ღვთაებრივი და
კოსმიური.

1960



* * *

ათასწლეულების იქით,
აიეტის ზღაპრულ კოლხეთს,
დასტრიალებს ჩემი მზერა.
მისთვის ყოფნა...

და არ ყოფნა,
"თამაშად და მიხანს მღერად".

1973



შურუფაქი და იფარი

დიდი წარღვნის მოლოდინში,
აქილევის ფარს იფარებს,
ცრუ ჟამმა ვერ გადიბირა:
შურუფაქი¹
და იფარი²,
ერიღუ³ და ბადთიბირა⁴.

1976

1, 2, 3, 4 – წარღვნამდელი კოლხური (ქართული)
ქალაქები.



შავნაბადა

ორთაჭალის ბადის ჩრდილში,
მიდიოდა,

ვით ქალწული

მტკვარი და...

თვალს ნაბავდა.

და შავნაბადმოსვეული

დაცქეროდა

შავად,

მას შავნაბადა.

1984



თორე

დედამიწა არ ეყო, და

ვარსკვლავებით ცა გალობდა

და შეერთო ზღვათა მორევს.


მესხი იყო და წყალობდა,

დიდ რუსთაველს ღმერთი –

თორე*.

1976

* თორე – მესხთა (ქართველთა) მფარველი ღვთაება.



* * *

მომცინარე ვარსკვლავებმა
მიცვლილი მზის შესანდობი
ცის ვეება თასი შესვეს –
ხსოვნისათვის გაიმეტეს.
და... დილამდე აიეტი –
უხმობს ჰელიოსს¹
და პერსეს².

1979

1, 2 – ჰელიოსი, პერსე – აიეტის მშობლები.



* * *

თვითონ გუღღრძო სიძულვილმა,
სიყვარული მიქო შენი,
მეზობელო კარისა.
დღეს აცვია – მზის ქოშები
და ღამეს კი –
მთვარისა.

1971



ბერბეტსა და გელაზინს

აქ – ყულევთან
და იქ – სნოსთან,
მთათა სახრჩობელაზე,
დუმს თერგი და ფაზისი.
და ხმა უძვირფასესი:
ხმობს გერგეტს¹ და
გელაზინს².

1976

¹ გერგეტა (ქართ.) – ნაყოფიერების ღვთაება.

² გელაზინი (ძვ. კოლხ.) – სისხარულის ღმერთი.



* * *

შორ წარსულიდან მოსული,
კოლხის სული აქ ტრიალებს,
მარად მძებნელი სიბრძნეთა
და გულს ედება მაღამოდ.
კაცო!

შენ მისათვაღაუო,
შვიდ პოეტთა და
შვიდ ბრძენთა.

2007



ანტიკა

ქალი არა,

ცა არის,

მზით და მთვარით ორსული

(თავს რომ მადგას ამ დილით).

ვით იტყოდნენ ძველები:

წარსულიდან მოსული,

ანტიკაა ნამდვილი.

1969



ლასი

მიმწუხრისას წყლის ბინადართ,
მთიებს უყრის მთვარის

თასით,

მერე იწყებს მათთან აღერსს.

და დილაბდე უთვალთვალებს –
თავის საწმეოს –

ცოდან ლასი*

1976

* ლასი – თევზის ღვთაება წარმართულ კოლხურ
(ქართულ) პანთეონში.



* * *

მარადისობა არავის დაინდობს,
ათასწლეულებს –
ვარსკვლავებს მიაშლის.
მთვარე – კი ქრისტეა,
თეთრებში ჩაცმული.
და ნათლის სვეტივით აღმართულ
წვედიადში –
ვჭვრეტ მოწამეებს და
ჯვარცმულებს.

1984



* * *

ასევია ვარსკვლავები
და მთვარე ჰგავს
მტერ-მორეულს,
ან სურამის დაშლილ ციხეს,
ზურაბი რომ დაატანეს...
მოსვლის დღიდან,
ვით ორეულს,
ჩვენ,
ჩვენს სიკვდილს დავატარებთ.

2004



ორი ღაჩი

წელი ათას ხუთასი

ვკრებდი სიგელ-გუჯარებს...

ვხმობდი მტერთა შემრისხველს:

მეფე –

ღაჩი უჯარმელს,

პოეტ –

ღაჩი ეგრისელს.

2005



აბსა და აღონაისი

როცა ზღვისკენ წყალს ჩამავალს,
გაპყვებოდა ჯადო ღამის,
მაშინ კოლხი მუხლმოყრილი,
მოწყალებას –

თხოვდა ღმერთებს:

აბსა¹ და დიდ
აღონაისს².

1977

¹ აბსა (კოლხ) – სულიერების ღვთაება.

² აღონაისი (ბერძნ.) – ყველაზე ძველი და ძლიერი ღმერთი.



* * *

მამის სიკვდილი, –
ის მე მოგვკალი,
სიცოცხლეს ფეხი როს წამოგვკარი,
და ჰა,
მას შემდეგ მივალ ბორძიკით,
შორს,
სასაფლაო მოჩანს
ბორცვს იქით.

1968



* * *

ზამთრის გზაზე მომავალი

ფანტელები,

ყვება ამბავს...

ცას სურს, მზე რომ დაიციფლოს;

გაწოლილა ჯეკეს დამბა,

ხობის პირას როგორც

ყილო*.

1967

* ყილო (მეგრ.) – ვფეხვი.



ედემში არა ჩანს ადამ

ღმერთს ჩაუბღუჯავს ხელში
ელვის ხმლის –

ვარდისფერი ვადა,
აპირებს წყვედიაღში მის ქნევას.
ედემში არა ჩანს ადამ,
და გვიმზერს –

გველის თვალებით ევა.

1987



* * *

ცხოვრება კი უმიზეზოდ,
ხელსა გვკრავს და
ბინად გვიჩენს –
სიცოცხეს და სიმარტოვეს
და დღეებიც ჩვენს ზურგებზე
აშოლტდება.

არ ეუყვარვართ და...
სიცოცხლე ხშირად გვტოვებს,
სიკვდილი კი,
ერთი წუთით არ გვშორდება.

1988



* * *

სოფლის შუკეებში მიმავალ მოვარეს
ზეცისკენ –
ღამე ესაფეხურა.

იელვა,
ელვამ, როგორც მერდინმა.
და იგრიალა მეხმა,
მეხურად
და, ხმა განთიადს ჩააკმენდინა.

1984



მითაჟამი*

მიასვენებდნენ ღამეს –
მთვარის ცივ ბაღდახინით
დრუბლები...
და ცას, არა ჰქონდა
არც რა საღხინო.
თვალებს იფშენებდა სინათლეზე
მოდგმა ქაოსის.
არსით ისმოდა ადამის ძის ხმა და
ძახილი,
პონტოს ნაპირზე –
კოლხმა თვალი როს გაახილა.

1986

* მითაჟამი (მეგრ.) – უხსოვარი დრო.



კოლხა

ათი ათასწლეულის –
კარებს ჩუმად მივხურავ
და უფალზე ვილოცებ,
რადგანაც აქ –
ფაზისთან,
იქ – ნაპირზე ნილოსის
მესმის სიტყვა კილხური*.

1997

* კილხური – კოლხური (პროტოქართველური).



* * *

სობის წყალს კი,
ვით ოქროს თევზს,
ულაპლაპებს მზეზე ზურგი
და წარსულის ბორჯში¹ ბორგავს.
მელოდება –
ჩემი სორგა,
სიყვარულს კი არ აქვს
სურგი².

1969

¹ ბორჯი (მეგრ.) დრო.

² სურგი (მეგრ.) – საზღვარი.



ბიომ აპოლინერი

დასაბამიდან წყვედიადს სიმღერით
აპობს ამერი,

აპობს იმერი.

ვინც წერტილ-მძიმით

სტრიქონები

არ დაამძიმა –

პოეტი გიიომ აპოლინერი*,

გარდაცვლილ ლექსთა

ჭირისუფლებს

უთვლის სამძიმარს.

1978



* * *

ხუთი ათასი წლის იქიდან,
სხვას კი არა, მე მესმის –
 ხმა ფარაონ მენესის –
(კოლხ ხელმწიფის და მეფის),
ვით აშენებს პირამიდას
და ეგვიპტის დედაქალაქ
 მემფისს*.

1969

* მემფისი ("მენფერ" – კოპტურ ენაზე) – მენესის
უმშვენიერესი სამყოფელი.



ვატიკანში

მილიონი წლის წინათ,
დარეკილი ზარია,
კაცის არა,
დიდ უფლის,
როს შეჰყურებ სარიანს,
ღირენსა და
დიუფის.

1983



ჰაინრის შლიმანი

კოლხ მედეას შვილიშვილის
სადღებრძელო ჯიხვის ყანწით
კოლხეთს უნდა დაილიოს.
რადგან ტროას მეც ვეძებდი,
მაგრამ დამასწრო შლიმანმა
და მიაღბა ის ილიოსს*.

1979

* ილიოსი – იგივე ტროა (ძვ.წ. XIII ს.) აღაშენა მედეას შვილიშვილმა ილიოსმა, რომელიც ოცდაცამეტი საუკუნის შემდეგ აღმოაჩინა ჰაინრის შლიმანმა (1822-1890)



გრძნობა

უფალთან აღვაუღუნთ ღოცვას, –
ამ სოფლად დიდხანს რომ
დავრჩეთ,
თუმც გვბორკავს მაცდური გრძნობა*,
და...
ჩვენ არრას ვამჩნევთ,
სიცოცხლე გველის პერანგივით
რომ გვძვრება.

1998

* გრძნობა – შელოცვა, თილისმა.



ვარსკვლავები

(ვარიანტი)

უსასრულობის ჭერზე ჰკიდიათ,
ვითა ბაჯაღლო
ოქროს ზარები,
ათასწლეულებს ტანზე იშრობენ...
მარადისობას და
ცივ სიშორეს,
რეკენ და რეკენ ვარსკვლავები.

1998



* * *

დღეს არავის აღარ უკვირს
(აღრე ეჭვი თუ ებადათ!)
რომ სიცოცხლე,
ვითა ჭუპრი,
სიკვდილისგან იშვება და,
ისევ უბრუნდება
სიკვდილს!

1978



* * *

მზე წარსულში როცა ჩავა,
დაეცემა მიწას ჩრდილი,
ჩემი სახლის ძველ აივნის
და დამივლის ტანზე ელდა.
დღე ერთია,
უსაწმისო კოლხთა სევდა –
მკერდზე ასჯერ გრიგალივით
გადამივლის.

1969



ბოლბოთაზე

კვლავაც ვარდისფრად ამოყვავილდა
ლურსმანი,

როგორც ტყვია ნაკრავი.
როს ხელისგულზე ცეცხლად მიესო.
მათ არ იცოდნენ,

ღმერთკაც იესოს,
რომ უკვდავების ჯვარზე აკრავდნენ.

1987



* * *

მეგობრის და ნათესავის,
როცა ჩავა მზე –
დასაულით,
მის პირღია, მშიერ საფლავს,
პეშვი მიწა მიყარე,
რადგან ჩემო!
შენც მასავით,
სიკვდილთან ხარ წილნაყარი.

2001



* * *

ცა არყოფნის სათარეშოდ

ელვას და... მის

გრძელი კუდით.

ჩაემტვრევათ ნისლეულის მინა მთებს.

და... ღამეში დილა ბუდობს

ო, ის არის,

რომ მტრედისფრად ინათებს.

1999



* * *

სამყარო ცასავით ცივია,
მოკვდავნი ერთ სიკვდილს
ათავებენ,
რომ ჭკრეტენ განთიადისას:
ცის უფსკრულეში,
ვით ცვივიან,
ვარსკვლავთა მოჭრილი თავები.

1972



* * *

ზვირთებს მაღლა ამოსვლა,
და წვიმების შრაპნელი –
მეტი არა,

უნდათ რა!

და... დიღამდე ნაპირი

ისმენს ზვირთთა

მუდარას.

1998



მუნეპი კოლხეთში

ვით წინაპრები ბრძოლით დაღლილნი,

ტოტები –

ხმლებად აწეულები,

ასე დგანან ახლა მუხები.

ტანზე აცვიათ – ასწლეულები,

და შვენიოთ ნისლის

ახალუხები.

1998



* * *

მზის და მთვარის კი არა,
სინათლის და
სიბნელის,
ვხედავ ლამპარს დანთებულს:
ამ ცბიერი საწუთროს –
"დოჭყაფუს"¹ და "დათებუს"².

1987

¹ დოჭყაფუ (მეგრ.) დასაწყისი.

² დათებუ (მეგრ.) დასასრული.



ღმერთებმა თავი შეირცხვინეს

დედამიწას რომ დაცქერის ცივად,
მთვარეა –

ზევსის თავის ქალა.

ღმერთებმა თავი შეირცხვინეს.

და ცა ამიტომ ღრუბლებში მაღავს,
პრომეთეს სისხლით

წითლად შეღებილ

ელვის ფრჩხილებს.

1968



* * *

ზღვისკარად,
დასავლეთის ცას,
ოქროს ბოქლომი ადევს მზის.
პოსეიდონი არა ჩანს
ბებერი.
და ადაც ხმა ისმის ჰადესის,
ნაპირზე რომ ყრია,
ქაფი კი არა,
ცოფია ცერბერის.

1966




ვარდობისთვე

მზე მიწას ათბობს სხივთა ფესვებით,
ბუნება ათასფრად ირთვება.

პირმომღიმარი თვეა –
ვარდობის.

თუმც შალსანი პონტოს ზვირთები,
ისევ კოლხეთის
წარსულს დარდობენ.

1968



* * *

მზე არ ჩანს,
მაგრამ ღამეულ წკვარამს
თვალეებში უღვას შიში
ზარად.

მამლის ყივილი –
ცის სარკეს ბზარავს.

თენდება!
გულმკერდს იღვლავს დილა.

1973



მარგალიტებში ექვ მარგალიტს

ხმელთაშუა ზღვის თუ პონტოს –
ოქროს სანაპიროზე,

ქარებს მოაქვთ ძახილი
მაკრისის¹ თუ მაკრალის²,
სიმღერით, წუხილით და ოხვრით.
შენ,

ლეგენდიდან მოსული

კოლხი,

მარგალიტებში ექვ მარგალიტს.

2006

1, 2 მაკრისი, მაკრალი – ძველი კოლხური
(ქართველური) ტომები.



ღასაბამი

ღუმს უსახელო...

ნაყოფი კი არა ჩანს ვაშლის!

მორჩა,

მოკვდავი,

ედემ-ბაღში აწ ვეღარ შევა.

გამოუცვლია წუთისოფელს კბილი

სარძევე.

ა, ეს წუთია ადამ და ევა,

სამოთხიდან რომ გამოაძევეს.

1962



* * *

ვერ ვიგებ,
თუ რას ყვირის
ყვირილა,
ან რას დაეძებს ძირში ძირულა.
ტალღები ლივლივებენ
გირლიანდებად,
ყველგან: პონტოს ზღვაში ჩაძირული,
ჩემი დიოსკურია
იღანდება.

1996



პაზი

სურს ჩამოიხრჩოს თავი,
ხელში უჭირავს ყულფი,
მაგრამ ხელს უშლის
მიტო.

ვაზი – შეიღია უფლის –
ცისკენ მიიწევს მიტომ.

1962



ვარსკვლავები

შეუწყვეტიათ ომები ღვთაებებს...

ღამეა უსამანო და

უწყინარი.

აღსავლით სივრცეები თეთრდება.

და...

ვარსკვლავები,

ცაში რომ ბრწყინავენ,

შედგებული სისხლია ღმერთების.

1965



* * *

ელვის კუდებიან ღრუბლებს,

წვიმა აღარ აგდებს

ძაღლად.

და ასველებს მთებს და ლარჩვას*.

ერქინება ტალღა,

ტალღას,

ზღვაც დელავს და...

"ქარი არ ჩანს".

1996

* ლარჩვა – სოფელი მთიან სამეგრელოში.



ისე მძულხარ!

ადრე?!

ჩემო,

სულ სხვა იყო.

სიყვარულის დიდ მინდორზე

მღვარი მუხა,

ერთიანად შემიძრია.

დღეს კი რა ვქნა!

ისე მძულხარ,

რომ უშენოდ ყოფნა აღარ

შემიძლია.

1989



კოლხეთი და იბერია

(ვარიანტი)

შოთრ წარსულში ერთად სხედან
და ყელი მოუღერიათ.
ხმა ჩვენამდე ვეღარ აღწევს,
ტირიან თუ იმღერიან.
ადრე თურმე მტკვარს და
ფაზისს –
მათი სისხლი შიგ ერიათ!!!
ახლაც, ვიღაც უსისინებს
ძმებს, –
კოლხეთს და იბერიას.

1993



* * *

ელვა –

სულია მოკვდავის,
რომ დახტის როგორც კალია.
ცხოვრების წესის თანახმად,
სიკვდილს,

სიცოცხლე თან ახლავს,
ღლე – ღამის ტყუებისცალია.

1979



არაგვითან

როგორც ცაში,
ჭიუხებშიც,
მთვარე ღამეს იქაც ათევს,
მერე დილას ეკვრის ცუდად.
და...
არაგვთან პატარა ბორცვს,
დიდი ზამთრის სიქათქათე
დაუხურავს
ლექის ქუდად.

1977



სიყვარული უნდა ერქვას

სულ ტანჯვით და სულ წვალებით,
ეპეი!

შორეთიდან მოსულს,
სიყვარული უნდა ერქვას:
ჩემი დიდი კოლხეთის ცას,
გზა-შარას და
გუთან-ერქვანს.

1979



ყაყაჩოები დიდბორზე

ათი საუკუნის მერეც,
მტერთა სისხლით
გაწუწულნი,
ქართულ მზეზე –
რომ შრებიან,
განა ყაყაჩოებია,
გამარჯვების დროშებია.

1996



ლილე

ფეხზე დამღარი ქედები,

მზის სადღეგრძელოს

ყოველთვის –

სამეგრელოს და სვანეთს:

უშბას,

შხარას და

თეთნულდს –

თეთრ ბარძიმებით სვამენ.

1994



* * *

აბა რათ უნდა დიდი მისნობა:
უსაზღვროების –
 უსაზღვროებას,
მარადისობის მარადისობას.

1986



* * *

გადახნულია ელვის სახნისით

ცა,

და ღრუბლების ყრია

ბელტები.

მაგრამ ჩანს, მოვარე მაინც ამოვა.

ზღვა –

სიხუმეში ვეღარ ეტევა,

ცა –

ვარსკვლავების სასაფლაოა.

1993



ის ვარ!

ეფარებიან შურის ხეს
ზოგ-ზოგნი და სიძულვილის,
მტყორცნიან შხამიან ისარს,
მე, ვთვლი მათ ბაჯალლო ბრიყვად.
მე გეუბნებით:
ის ვარ! –
"ვინც არ გინახავთ და გიყვართ".*

1986

* მოციქული პეტრეს წერილიდან



* * *

ქვეყნად ჩვენი გაჩენისთვის,
ჩვენს საყვარელ
დედა-ეგას,
თავის ცოდვა არ ჰყოფნიდა?!
ვაშლი რომ არ მოეწყვიტა,
ცნობადის ხის
ნაყოფიდან.

1973



ათა და ბაბადან

პონტოს სანაპიროზე,

აიეტის კოლხეთის

ცაა,

როგორც წყალობა.

უფალმა იქ დაგბადა

და... მოდიხარ გალობით –

ათადან და

ბაბადან.

1986



* * *

ჩაუბღუჯიხარ მარადისობას,

მიწის კი არა,

ცის მოქალაქე.

და აწ ვერაგინ გაგაშველებენ.

შენი სახელი დაერქმევა

ღამაზ ქალაქებს,

რომლებსაც ალბათ –

ვარსკვლავებზე

გააშენებენ.


2007



* * *

ელვასავით მიმოჰქროდი,
მთელ სამყაროს
კიდის-კიდით.
და სიმინდის ტაროსავით,
ცისკენ მზირალ კლდეებს
ფშენიდი,
რომ გეპოვნა წყაროსთავი
და სამოთხის ბაღი მშვიდი.

1978



* * *

ელვის რაშით დაჰქრის და,
ჩვენში ჩნდება წარსულის
და მომავლის ქუხილად.
სსოვნის თვალში აბუდებ,
ხილულსა და
უხილავს.

1986



ობოლი კოლხეთი აიეტის

რაც ჩემთვის სიცოცხლე რომ
გაიმეტეს,

ადამის და ევას

მაწუხებს მე ცოდვები.

ვიცი რომ,

ობოლი კოლხეთი აიეტის,

შოთრეულ წარსულში

მარტოდ-მარტოა და...

მეცოდება!

1961



**სიცოცხლის ხე კვლავ
შრიალებს**

ღღეც და ღამეც

მოკვდავს უბებს,

აქ, არყოფნის აშრიალას¹.

ცაში სისხლის ადის ორთქლი

სიცოცხლის ხე კვლავ შრიალებს –

შეიდი მილიარდის ფოთლით.

2001

¹ აშრიალა – მახე.



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ.....5

ვით ანტეოსი.....26

აღუჩა შავი ზღვის პირას.....27

არ ჩანს ბაბილონი.....28

ტატაში.....29

ვით ანას და იოკიმეს.....30

* * * წარსულიდან კვლავ მოისმის.....31

* * * მწუხრმა ფრთები გაშალა.....32

* * * ვითარცა წინათ.....33

სული.....34

შენი ლექსები.....35

* * * ღამეები კი არა.....36

ვაჟა.....37

გათენება.....38

ისევ კოლხეთი.....39

* * * ცის ლაჟვარდს რომ მიეფარა.....40

* * * შავი ღრუბლების ყაბალახებით.....41

გაზაფხული.....42

ქართული მიწა.....43

* * * ჩაისეირნეს წვიმის ეტლებით.....44

* * * აქ არყოფნის ფიქრით დამზრად.....45

კახეთი – 1992-1993.....	46
* * * ელვად მედინი წამი.....	47
* * * მუდამ დღეის-დღით ცხოვრობდი	48
მწუხრის ლიტანია.....	49
კოლხთა ქვეყანა	50
დაღამება.....	51
რატომ?!.....	52
* * * ცამ მთვარის წარბი	53
ტრიადა	54
* * * ცად მიჰქრის წლები სინათლის.....	55
რთველი კახეთში	56
საქართველო – 1992-1993.....	57
ორმოცზე მეტი წელიწადია.....	58
* * * ადამის ძეო.....	59
აღვის ხე სასაფლაოზე.....	60
* * * ჩამოიარა ქარმა ზღვისკარად.....	61
ღამე კოლხეთში.....	62
ხეთაცა და დარჩელიც.....	63
* * * ქელეხის სუფრას მისხდომიან.....	64
* * * არც კაპიტანი და არც ბოცმანი	65
უნდა შევუნდოთ.....	66
* * * რომ მიხმობს ცისკრის ვარსკვლავი67	
* * * კერის ცეცხლის აღს გამოქცეული68	

* * * იქ, სადაც ზღვას ერთვის ფაზისი...	69
* * * სიმძიმისაგან ჩატყდება.....	70
ამფორები.....	71
ზღვის ეპიტაფია.....	72
* * * შურსა და მტრობას რომ აღარ.....	73
თბილისი – 1991.....	74
* * * ვითარცა ბაღლი.....	75
ისიც შურთ დედამიწაზე.....	76
ვიცი, ჩემია, რაც არი.....	77
ქართუუ, კარდუ!.....	78
1991 – 1992 წწ.....	79
* * * შარავანდელით მოსული.....	80
მოუწყენია აბარწას.....	81
* * * ათასწლეულთა ტევრში შესული.....	82
გზები და ბილიკები.....	83
* * * მამა-პაპათა ნანატრმა.....	84
ისევ წიგნი – "იქმენ ნათელი!".....	85
* * * დღის მიღმა.....	86
საქართველოს მტრებს.....	87
* * * სინათლის ჟამთა ქარები.....	88
დედათა მონასტერში.....	89
* * * თვალში ჩავცქერი ათასწლეულებს 90	
ათას მოგონებას ბარდნის.....	91

* * *	მეხის ეტლი ცაზე გადირახრახებს.	92
* * *	მიწაზე დაუტევარი.....	93
* * *	ვით მეგრული "იავნანა".....	94
* * *	რომ მომცა ფრთები.....	95
* * *	შემოდგომის მწუხრია.....	96
* * *	ცელი უჭირავს თუ ორღესული.....	97
* * *	ხობის პირას.....	98
	ხილვა: ეკატერინე ჭავჭავაძე.....	99
	ცა და ზღვა.....	100
	პოეზიის ჩირაღდანი.....	101
* * *	ეს მიწაა.....	102
* * *	დილა მოელის და.....	103
* * *	მზის ჩაუქრობელ კელაპტრით.....	104
	ჭინჭილა.....	105
* * *	დაბლა ჩამოდის სევდა.....	106
* * *	მზის შთამომავალს.....	107
	სამეგრელო – 1993.....	108
* * *	შემოდგომაა.....	109
	ანაკლია და ყულევი.....	110
	რაა სიცოცხლე?!.....	111
	ტირის ევა.....	112
* * *	შენთან.....	113
* * *	ლეგენდებით გადახურულ.....	114

* * * სასაფლაოსკენ მიმავალი.....	115
* * * შავგულა, შავითმოსილი	116
ქალაქი კოლხა – 5100	117
ბედისწერა.....	118
ევგენიოსი და თემისტოსი.....	119
* * * ისევ ყვავილობს ბაღი ედემის.....	120
კალიგულა.....	121
წალენჯიხა	122
ამური.....	123
ჭანის ციხე.....	124
ევანგელე, ეპისტოლე.....	125
* * * ვით ჩვენი ყოფნა.....	126
* * * მთვარე მოხრილ მახვილივით.....	127
* * * სულ სხვა იყო სიყმაწვილის	128
აიეტის და ფარტაზის.....	129
* * * სიმყუდროვით გადახურულ.....	130
* * * შაოსან და მტირაღ ღრუბლებს	131
* * * წინაპართა სულეზო!.....	132
რომაელთა თეთრი აფრები.....	133
* * * ვარსკვლავებით დაწერილი.....	134
* * * მოქათქათე და სავსე გულ-მკერდით.....	135
კოლხთა წარსულს შეუვლი.....	136

* * *	ცის მაღალი აივნიდან.....	137
* * *	ის.....	138
	კაენის და აბელის.....	139
* * *	კოლხეთი კვლავ ზღვას გაჰყურებს	140
	მარულია.....	141
	ეძინა კოლხეთს.....	142
* * *	სისხამ დილიდან.....	143
* * *	არავითარი ინდო-ჩინეთი!!!.....	144
	აღარც ყამარის ხმა ისმის.....	145
* * *	მზე არა ჩანს.....	146
* * *	თენდება ისე უხმაუროდ,.....	147
* * *	მთებს სიფერმკრთალემ გადაუარა..	148
* * *	ნანგრევები ხატუსის.....	149
* * *	მწუხრის მთვარე მოცარტივით,.....	150
* * *	სიცოცხლეს არა.....	151
* * *	ერთმანეთში ირევა.....	152
* * *	სიშორის მიღმა გარდახვეწილი.....	153
* * *	ციხეზე სათოფურები.....	154
* * *	ზღვის.....	155
* * *	ვითარც ჩვევია საწუთროს.....	156
* * *	დღე-ღამის ფრთები მოუსხამს.....	157
* * *	ქუხილის ხმაზე ჩაინგრა ცის კიდე.	158
* * *	რა ბედნიერი ვიყავი მაშინ,.....	159

* * *	ღელვის ტოტზე ჩამომჯდარი.....	160
* * *	ვიმეორებ ათასჯერ.....	161
* * *	ჩემს ფეხის ხმაზე.....	162
	ბექირებს და ბიძირებს.....	163
* * *	ისევ პირველყოფილი ქაოსია.....	164
* * *	მთვარე ცას აქანდაკებს.....	165
* * *	მილიონი წლის კოლხეთის.....	166
* * *	მძიმე ფიქრი გონების ცას,.....	167
* * *	კაცი კაცისთვის თურმე მგელია.....	168
	აფრიანი გემი.....	169
* * *	სიცოცხლის და სიყვარულის.....	170
* * *	მოკამკამე ზღვის სარკეში.....	171
* * *	არც ურარტუ.....	172
	სამშობლო და ბუნება.....	173
* * *	კოლხეთისკენ მოიწევს.....	174
* * *	დამფრთხალი მიწის შავი სიმძიმით.....	175
* * *	ათასწლეულების იქით.....	176
	შურუფაქი და იფარი.....	177
	შავნაბადა.....	178
	თორე.....	179
* * *	მომცინარე ვარსკვლავებმა.....	180
* * *	თვითონ გულდრძო სიძულვილმა.....	181
	გერგეტსა და გელაზინს.....	182

* * * შორეულიდან მოსული.....	183
ანტიკა.....	184
ღასი.....	185
* * * მარადისობა არაგვის დაინდობს.....	186
* * * ასეცა ვარსკვლავები.....	187
ორი დაჩი.....	188
აბსა და აღონაისი.....	189
* * * მამის სიკვდილი.....	190
* * * ზამთრის გზაზე მომავალი.....	191
ედემში არა ჩანს ადამ.....	192
* * * ცხოვრება კი უმიზეზოდ.....	193
* * * სოფლის შუკვებში მიმავალ მთვარეს.....	194
მითაუამი.....	195
კოლხა.....	196
* * * ხობის წყალს კი.....	197
გიომ აპოლინერი.....	198
* * * ხუთი ათასი წლის იქიდან.....	199
ვატიკანში.....	200
ჰაინრიხ შლიმანი.....	201
გრძნება.....	202
ვარსკვლავები.....	203
* * * დღეს არაგვის აღარ უკვირს.....	204

* * * მზე წარსულში როცა ჩავა.....	205
გოლგოთაზე.....	206
* * * მეგობრის და ნათესავის,.....	207
* * * ცა არყოფნის სათარემოდ.....	208
* * * სამყარო ცასავით ცივია.....	209
* * * ზვირთებს მადლა ამოსვლა.....	210
მუხები კოლხეთში.....	211
* * * მზის და მთვარის კი არა.....	212
ღმერთებმა თავი შეირცხვინეს.....	213
* * * ზღვისკარად.....	214
ვარდობისთვე.....	215
* * * მზე არ ჩანს.....	216
მარგალიტებში ეძებ მარგალიტს.....	217
დასაბამი.....	218
* * * ვერ ვიგებ.....	219
ვაზი.....	220
ვარსკვლავები.....	221
* * * ეღვის კუდებიან ღრუბლებს,.....	222
ისე მიუღხარ!.....	223
კოლხეთი და იბერია.....	224
* * * ეღვა.....	225
არაგვთან.....	226
სიყვარული უნდა ერქვას.....	227

ყაყაჩოები დიდგორზე.....	228
ლილე.....	229
* * * აბა რათ უნდა დიდი მისნობა.....	230
* * * გადახნულია ელვის სახნისით.....	231
ის ვარ!.....	232
* * * ქვეყნად ჩვენი გაჩენისთვის.....	233
ათა და ბაბადან.....	234
ბნელი ქუჩა.....	235
* * * ჩაუბღუჯიხარ მარადისობას.....	236
* * * ელვასავით მიმოჰქროდი.....	237
* * * ელვის რაშით დაჰქრის და.....	238
ობოლი კოლხეთი აიეტის.....	239
სიცოცხლის ხე კვლავ შრიალებს.....	240

ვაჟა ეგრისელი

კოლხური ფსალმუნები

100 ტომად
ტომი 66

VAZHA EGRISELI
“KOLKHURI PHSALMUNEBI”
ONE HUNDRED VOLUME
VOLUM 66

გამომცემლობის

რედაქტორი

– მარინე ყიფიანი

მხატვარი

– სპარტაკ ცინცაძე

მხატვრული რედაქტორი

– ირაკლი უშვერიძე

ტექნიკური რედაქტორი

– ნანა ღუმბაძე

კორექტორი

– ვალენტინა დოლბაია

კომპიუტერული

უზრუნველყოფა

– ნანა და დათო ყანდაშვილები

გამომცემელი – მათე დოლბაია

ფასი 20 ლარი

თბილისი
2020



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. შოთაბრძოლვის ქუჩა №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@gmail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com